საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 193 (10587) | კვირა, 19 აგვისტო, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

## შეუნელებელი ყურადღება საგზაო მშენებლობას

ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავდადებით იბრძვიან კომუნიზმის მშენებლობის იმ გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა. საყოველთაო-სახალხო შემოქმედებითს შრომაში თავიანთი წვლილი შეაქვთ საგზაო მშენებლობის მუშაკებსაც. მათ გაჰყავთ ახალი გზები, სულ უფრო კეთილმოწყობილს ხდიან არსებულ გზებს. ამ გზებზე გადააქვთ ძვირფასი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ტვირთები, ფოსტა, გადაჰყავთ მგზავრები.

საგზაო მშენებლობის განვითარება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანია. ყოველწლიურად დიდდება ასიგნობანი გზების გაყვანისა და კეთილმოწყობისათვის. მეექვსე ხუთწლედში გასულ ხუთწლედთან შედარებით მაგარსაფარიანი გზების მშენებლობა 1,5-ჯერ გადიდდება.

ჩვენს რესპუბლიკაში ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ და წარმატებებსაც აღწევენ მუშაობაში თბილისის სამანქანო-საგზაო სადგური, ბორჯომის, თეთრი წყაროს, გორის საგზაო-საექსპლოატაციო უბნები. ამ ობიექტებზე ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენებისა და შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად წარმატებით სრულდება გზების მშენებლობის, კაპიტალური და საშუალო შეკეთების დავალებანი.

მთელ რიგ რაიონებში გზების მშენებლობა-შენახვა საერთო-სახალხო საქმედ იქცა. კოლმეურნეები აქტიურ შრომითს მონაწილეობას იღებენ ამ საქმეში, იბრძვიან იმისათვის, რომ რაიონში გზები სანიმუშო მდგომარეობაში იყოს. ამის შედეგია ის, რომ გზების მშენებლობა-შეკეთების გეგმები დიდი გადაჭარბებით სრულდება ახალქალაქის, მახარაძის, ჩოხატაურის რაიონებში.

საგზაო მშენებლობის ტემპების გაძლიერებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში რესპუბლიკაში არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების მშენებლობის წლიური გეგმა 1 აგვისტოსათვის შესრულებული იყო მხოლოდ 29,8 პროცენტით, ხოლო კაპიტალური შეკეთებისა 48 პროცენტით. საგზაო-საექსპლოატაციო უბნების ნაწილი გეგმებს ვერ ასრულებს. მაგალითად, სოხუმის საგზაო-საექსპლოატაციო უბანმა (უფროსი ს. ფანცულაია, მთავარი ინჟინერი ა. კრასილნიკოვი) კაპიტალური შეკეთების წლიური დავალება 1 აგვისტოსათვის მხოლოდ 22 პროცენტით შეასრულა. უბნის ხელმძღვანელობის მოუქნელი მუშაობის შედეგად ძალიან გაჭიანურდა ქვის სამტვრევი მანქანების დადგმა, ლორლის დამზადება. მათ ნახევარ წელში 0,5 კილომეტრი გზის შეკეთება ძლივს მოახერხეს, წლიური გეგმით კი გათვალისწინებულია 13,4 კილომეტრის რემონტი.

დიდი ჩამორჩენა აქვს მუშაობაში № 1 ხიდების მშენებლობის რაიონს (უფროსი ნ. ლომიძე, მთავარი ინჟინერი ა. ავეტისოვი). მან 1956 წლის განმავლობაში უნდა აითვისოს 3 მილიონ 76 ათასი მანეთი, 1 აგვისტოსათვის კი მხოლოდ 763 ათასი მანეთის სამუშაო ჰქონდა შესრულებული. სუსტად მუშაობენ და გეგმებს ვერ ასრულებენ აგრეთვე ზესტაფონის და ბათუმის საგზაო-საექსპლოატაციო უბნები.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს იმ გზების მშენებლობა და რემონტი, რომლებიც სოფლებს აკავშირებენ ერთმანეთთან და რაიონულ ცენტრებთან. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-პატრონობა რაიონული საბჭოების აღმასკომების ღვიძლი საქმეა. მაგრამ ზოგიერთი რაიონული საბჭოს აღმასკომი საგზაო მეურნეობას ისე უყურებს, როგორც უმნიშვნელო საქმეს. ამის შედეგია, რომ ცხაკაიას რაიონში კეთილმოუწყობელია ბეთლემ-ფოცხოს, ზანაუშაფათის და ეკი-უშაფათის გზები. ფოცხოს სტალინის სახელობის, ზანას ჟდანოვის სახელობის, ეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობები ნაკლებ ინტერესს იჩენენ ამ გზების მოწყობისადმი. მენჯ-თეკლათის გზაზე წვიმიან ამინდში გავლა თითქმის შეუძლებელია. გზების უწესივრო მდგომარეობა იწვევს ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებას, იკარგება დრო, საწვავი, ადრე ცვდება ავტომანქანები.

ზოგიერთ რაიონში კოლმეურნეობათა საგზაო ბრიგადები სრულ უმოქმედობას იჩენენ, კოლმეურნეობათა გამგეობები კი ამ მდგომარეობას ურიგდებიან. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან სოხუმის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „გამარჯვება", სოფელ ბესლეთის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა. შეუწყნარებელია, რომ ხაშურის რაიონის სატივეს, ყობის, წავლეთის, ტეზრის კოლმეურნეობებს წელს სრულებით არ მიუღიათ მონაწილეობა საგზაო სამუშაოებში.

სამრეწველო საწარმოების, ყველა სამეურნეო ორგანიზაციის ვალია აქტიური მონაწილეობა მიიღონ საგზაო სამუშაოებში. ისინი უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ მტს-ებთან, მაღაროებთან და სხვა საწარმოებთან მისასვლელი გზები წესრიგზე იყოს. მაგრამ ასე როდი იქცევიან ჭიათურაში. თითქმის უვარგისია გზები ყველა მაღარომდე, განსაკუთრებით კი ლენინის, ვოროშილოვის, დიმიტროვის სახელობის მაღაროების მიმართულებით, ცენტრალურ გამაუხვებელ ფაბრიკასთან. გზების მიმდინარე შეკეთებისათვის მარგანეცის ტრესტს მხოლოდ ორი ბრიგადა ჰყავს. ბრიგადებს მექანიზმები არა აქვთ. მათ ხშირად არადანიშნულებისამებრ იყენებენ.

საგზაო მშენებლობაში ჩამორჩენას არ შეიძლება შევურიგდეთ. გზები როგორც არტერიები აკავშირებენ ქალაქსა და სოფელს, საწარმოსა და კოლმეურნეობას. დიდია მათი როლი სოფლის, ქალაქის, ოლქის, რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ უნდა გააძლიეროს მუშაობა, მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინოს თავისი დაქვემდებარების ორგანიზაციებისადმი, მიაღწიოს სახელმწიფო დავალებათა პირნათლად შესრულებას. ამ საქმეში მას უნდა დაეხმაროს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, უზრუნველყოს საგზაო მშენებლობისათვის საჭირო ტვირთების პირველ რიგში გადაზიდვა.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საპატიო და პასუხსაგები მოვალეობაა დარაზმონ მასები საგზაო მშენებლობის სამუშაოთა შესასრულებლად, საქმის ცოდნით, ოპერატიულად უხელმძღვანელონ საგზაო განყოფილებებს. მათ კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ გზების მშენებლობა და მოვლა საყოველთაო-სახალხო საქმეა.



## ჩაის კრეფაში მოწინავეები

18 აგვისტო

### ხონის რაიონი

**ქსენია კევალიშვილმა** მთელ რაიონში გაითქვა სახელი. მან მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. დღემდე სულ მოკრეფილი აქვს 8.700 კილოგრამი.

**ვენერა ოკუჯავა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. მან დიდი შრომითი წარმატება მოიპოვა. მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაი, ხოლო სულ სეზონში — 6.382 კილოგრამი.

### წალენჯიხის რაიონი

**ცუფე კვარაცხელია** მუშაობს წალენჯიხის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში. მოკრიფა 50 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სულ ნახევარ ჰექტარზე მოკრეფილი აქვს 6.530 კილოგრამი. იგი იბრძვის ამ ნაკვეთზე 9.000 კილოგრამი ჩაის ფოთლის მიღებისათვის.

**ფოთო ჟანიამ** სოფელ ნაკიფუს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 45 კილოგრამი ჩაი. დღემდე სულ მოკრეფილი აქვს 4.518 კილოგრამი.

**სოფიო შონიამ**, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, სოფელ ფახულანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 40 კილოგრამი ჩაი, ხოლო ნახევარ ჰექტარზე სულ მოკრეფილი აქვს 5.200 კილოგრამი და იბრძვის 8.000 კილოგრამის მოკრეფისათვის.

# უკრაინის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა თათბირი

სტალინო, 17 აგვისტო. (საკდეს). დონბასი ჩვენი ქვეყნის სათბობის უდიდესი ბაზაა. იგი ახლა იძლევა საბჭოთა კავშირში ამოღებული მთელი ქვანახშირის თითქმის მესამედს.

როგორ გავადიდოთ ამოღება არსებულ შახტებში, დავაჩქაროთ ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავება, რათა უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილება სათბობზე, — ამ საკითხებს მიეძღვნა დღეს ქალაქ სტალინოში გამართული რესპუბლიკური თათბირი ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებისა, რომელიც უკრაინის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწვიეს.

დილის ცხრა საათისათვის ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ მეშახტე-კომბაინერები, საყელავი მანქანების მემანქანეები, მებიგეები, გვირაბის გამყვანები, ელექტრომავლების მძღოლები, შახტებისა და ახალმშენებლობათა ინჟინრები და ტექნიკოსები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები სტალინოს, ვოროშილოვგრადის ოლქებიდან, მარჯვენა ნაპირის უკრაინისა და რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების ქვანახშირის ახალი რაიონებიდან — სულ 1.300-ზე მეტი კაცი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა და უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ი. კირიჩენკომ. თათბირს დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი ამხ. ა. ნ. ზადემიდკო, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრი ამხ. ლ. გ. მელნიკოვი, პარტიის საოლქო კომიტეტების მდივნები: სტალინოსი — ამხ. ი. პ. კაზანეცი, ვოროშილოვგრადისა — ამხ. ვ. კ. კლიმენკო, ლვოვისა — ამხ. მ. კ. ლაზურენკო, ვოლინისა — ამხ. ი. ს. კლიმაში, კიროვოგრადისა — ამხ. ფ. ი. მარტინოვი.

თათბირი გახსნა უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ი. კირიჩენკომ.

მოხსენებანი ქვანახშირის ამოღების და ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ გააკეთეს უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ამხ. მ. პ. ნირცევმა და უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრმა ამხ. გ. ვ. კრასნიკოვსკიმ.

საბჭოთა უკრაინის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები წყვეტენ დიდ ამოცანებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა. მეექვსე ხუთწლედში ქვანახშირის ამოღება რესპუბლიკაში უნდა გადიდდეს 62 პროცენტით. დასახულია აშენდეს 132 დიდი შახტი — 2,8-ჯერ მეტი, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში. გრძელდება შახტებში და ახალმშენებლობებზე მძიმე და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დიდი სამუშაოები. უკვე ახლა მთელი ამოღებული ქვანახშირის 45 პროცენტზე მეტი მოდის საშახტე კომბაინების ლავებიდან, სამთო გვირაბების ორი მესამედი გაყვანილია ქანსატვირთავი მანქანების გამოყენებით.

ახლა დონბასის მეშახტეები შეშფოთებული არიან იმით, რომ ისინი ჯერ კიდევ ვერ იძლევიან საკმაო სათბობს, აუზი დიდი ხანია ვერ ასრულებს ქვანახშირის ამოღების გეგმას, აგრეთვე დავალებას შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების დარგში. შესრულებული არ არის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა, გაჭიანურდა ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების ვადები.

შახტებისა და ტრესტების ცუდი მუშაობის მიზეზები ის არის, რომ მოქმედ საწარმოებში დამაკმაყოფილებლად ვერ იყენებენ სანგრევების არსებულ ხაზს, დაბალია ორგანიზატორული მუშაობისა და ტექნიკური ხელმძღვანელობის დონე. წარმოების ბევრი მეთაური არ მუშაობს შრომის ციკლური ორგანიზაციის დასანერგავად. ახალმშენებლობებზე სუსტად არის მექანიზებული სამთო სამუშაოები, დაბალია სამშენებლო საქმის კულტურა, სრულიად არასაკმაოდ იყენებენ მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებს.

დიდი ნაკლოვანებებია აგრეთვე შრომისა და ხელფასის დანორმვასა და ორგანიზაციაში, რაც ხშირად იწვევს გათანაბრებას, არ ქმნის წამყვან პროფესიათა მუშების მატერიალურ დაინტერესებას. შახტებში და მშენებლობებზე ჯერ კიდევ დიდია კადრების დენადობა. ამის ერთ-ერთი მიზეზია საცხოვრებელი ფართობის ნაკლებობა. სახელმწიფო უდიდეს ხახსრებს ხარჯავს მაღაროელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მარტო უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ ხუთწლედში უნდა ააგოს ოთხ მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. მაგრამ ამ ასიგნობებს მთლიანად ვერ იყენებენ, საბინაო მშენებლობის გეგმები არ სრულდება.

მოწინავე კოლექტივების გამოცდილება კი ცხადყოფს, თუ რა დიდი რეზერვები აქვთ აუზის მაღაროელებს ჩამორჩენის დასაძლევად, ქვანახშირის ამოღების გასადიდებლად. თითქმის ათი წელიწადია მუშაობს ციკლურობის გრაფიკით ტრესტ „კრასნოარმეისკუგოლის" დიმიტროვის სახელობის შახტის № 1 უბანი, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ბრიდკო ხელმძღვანელობს. უბანი სისტემატური გადაჭარბებით ასრულებს გეგმას და უკვე მისცა ჩვენს ქვეყანას ათეულათასობით ტონა ზეგეგმითი სათბობი, განუხრელად დიდდება შრომის ნაყოფიერება, მცირდება საწარმოო ხარჯები. ჩისტიაკოვოში კისელიოვის სახელობის შახტსა და შახტიორსკში — № 12 შახტში მემანქანეებმა ამხანაგებმა პატლატიუკმა, ქელნოვატიუკმა, ოვჩარუკმა, გურამ, როჟკოვმა, პლოტნიკოვმა კომბაინების „დონბასის" წარმადობა აიყვანეს თვეში 20 ათას ტონა ქვანახშირამდე. საშახტო მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენების ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს „ვეტკა-გლუბოკაიას" ახალმშენებლობის მუშებმა. აქ ასაწყობი რკინაბეტონით გამაგრებულია ორნახევარ კილომეტრზე მეტი სამთო გვირაბები, რამაც შესაძლებელი გახადა ორ-ორნახევარჯერ გაძლიერებულიყო გვირაბის გაყვანის ტემპები, ერთიორად გადიდებულიყო შრომის ნაყოფიერება, მუშათა ხელფასი და მიგვეღო მილიონნახევარი მანეთი ეკონომია.

მაგრამ კოლექტივების, ბრიგადების, ცალკეული ნოვატორი მუშების მოწინავე გამოცდილება ჯერ კიდევ ძალიან ცუდად ვრცელდება. მაგალითად, ტრესტების „ჩისტიაკოვანტრაციტის" და „სვერდლოვუგოლის" შახტები თანაბარ პირობებში მუშაობენ. მაშინ როცა ჩისტიაკოვოს მაღაროელებმა ყველა ლავის სამი მეოთხედი ციკლურობის გრაფიკით მუშაობაზე გადაიყვანეს და ქვანახშირის ამოღება წელს 9,4 პროცენტით გაადიდეს, „სვერდლოვუგოლის" საწარმოები ცუდად მუშაობენ, ბევრ სათბობს გვაკლებენ.

მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დარჩენილ თვეებში მოქმედი შახტებისა და მშენებლობების კოლექტივებმა დიდი მუშაობა უნდა შეასრულონ ჩამორჩენის დასაძლევად, უზრუნველყონ ქვანახშირის ამოღების ზრდა. საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს სამთო სამუშაოთა ფრონტის გამოყენება, გადიდდეს არსებული მანქანებისა და მექანიზმების წარმადობა, დამატებით ამუშავდეს ასზე მეტი კომბაინი და 350 ქანსატვირთავი მანქანა, სახურავის მთლიან ჩამონგრევაზე ლითონის ორგანული სამაგრის გამოყენებით დამატებით გადაყვანილ იქნას სულ ცოტა ორასი ლავი. შახტმშენებლებს აქვთ რეალური შესაძლებლობანი დარჩენილ თვეებში საექსპლოატაციოდ გადასცენ 34 შახტი, მათ შორის 15 დიდი საწარმო და 600 ათას კვადრატულ მეტრამდე საცხოვრებელი ფართობი. გამოანგარიშება ცხადყოფს, რომ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებელს გახდის მეოთხე კვარტალში ქვანახშირის ამოღება დონბასში გადიდდეს მრავალი ათეული ათასი ტონით დღეღამეში.

მოხსენებათა გამო გაჩაღდა გაცხოველებული კამათი. ტრესტ „კუიბიშევუგოლის" მმართველმა ფ. ტ. გაპონენკომ განაცხადა, რომ ტრესტის მეშახტეები წარმატებით ართმევენ თავს სახელმწიფო გეგმას. წლის დამდეგიდან სადღეღამისო ამოღება გადიდდა 15 პროცენტით და მეტით.

მაგრამ ამ მოწინავე ტრესტშიც არის ისეთი შახტები და უბნები, რომლებიც დავალებებს ვერ ასრულებენ. ამხ. გაპონენკო ამბობს, რომ შახტმშენებლები ქვანახშირის ახალ საწარმოებს საექსპლოატაციოდ გადასცემენ დიდი ნაკლოვანებებით. ეს აბრკოლებს შახტების საპროექტო სიმძლავრის ათვისებას. ორატორი აკრიტიკებს ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს იმისათვის, რომ საცხოვრებელ სახლებში ხშირად ასახლებენ ადამიანებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ამ საწარმოსთან. მაგალითად, მშენებლობის პროცესში მყოფი „ვეტკა-გლუბოკაიას" შახტის მუშათა ახალ დაბაში ბევრი ბინა უკვე დაიკავეს უცხო პირებმა, მაშინ როცა შახტს მწვავედ ესაჭიროება ბინები.

ტრიბუნაზეა ტრესტ „კრასნოლუჩუგოლის" შახტ „ბოკოვო-პლატოვსკაიას" № 2 უბნის უფროსი პ. პ. ბოდნია. იგი ამბობს, რომ ორი წლის წინათ აშენებული ახალგაზრდა საწარმოს კოლექტივი წარმატებით ეძიებს ქვანახშირის ამოღების გადიდების რეზერვებს.

— მუშების ინიციატივით, — ამბობს იგი, — ჩვენში დაინერგა შრომის კომპლექსური ორგანიზაცია. ამან ხელი შეუწყო ტექნიკის უკეთ გამოყენებას, დააჩქარა სანგრევი ხაზის წინ წაწევა. შეცვლილია აგრეთვე ხელფასის სისტემა, რაც სტიმულს აძლევს ქვანახშირის ამოღებაზე მომუშავე მაღაროელთა შრომას.

ამხ. ბოდნია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შრომის ანაზღაურების საკითხებს თვითეული შახტი თავისებურად წყვეტს, ხოლო უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო არ სწავლობს ამ საკითხებს, არ განაზოგადებს ახალს, რაც საწარმოებში წარმოიშობა. მან სერიოზულად გააკრიტიკა სამინისტრო შახტების რეკონსტრუქციისადმი არასაკმაო ყურადღებისათვის.

დონბასის ჩამორჩენისათვის დიდი შეშფოთებით იყო გამსჭვალული ტრესტ „კრასნოგვარდეისკუგოლის" № 1-1-ბის შახტის ამწმენდის ვ. ს. მატერინსკის სიტყვა.

— ჩვენი აუზი, — ამბობს იგი, — დიდ ვალში აღმოჩნდა სამშობლოს წინაშე. ჩამორჩება ჩვენი შახტიც. რატომ? ჩვენ არ გვექმნიან მუშაობის ნორმალურ პირობებს, ცუდად მზადდება სამუშაო ადგილი, მექანიზმები უზრუნველყოფილი არ არის სათადარიგო ნაწილებით.

ამხ. მატერინსკი მოითხოვს აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი შახტებისა და უბნების ხელმძღვანელობაში. იგი პირობას აძლევს შეკრებილთ, რომ მეშახტეები ყოველთვის შეასრულებენ თავიანთ სიტყვას. ისინი ახლაც ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი ქვანახშირი.

— კომკავშირი იყო და არის პარტიისა და მთავრობის პასუხსაგებ დავალებათა განხორციელებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში, — თქვა უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ი. დროზდენკომ.

— ახალგაზრდობა მხურვალედ გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას. შარშან აუზის შახტებში მოვიდა უკრაინის 16 ათასი ახალგაზრდა პატრიოტი. ბევრი მათგანი ახლა შრომის მაღალ ნიმუშებს გვიჩვენებს. წელს დონეცელ მაღაროელთა რიგებს შეემატება რესპუბლიკის კომკავშირელთა ახალი მრავალრიცხოვანი რაზმი.

ამხ. დროზდენკო სერიოზულ პრეტენზიებს უყენებს უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობისა და ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროებს, რომლებიც საკმარისად არ ზრუნავენ ახალი შევსების ტექნიკური სწავლებისათვის, იმისათვის, რომ შეუქმნან მას საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები.

ტრესტ „სოვეტსკუგოლის" № 13-ბის შახტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი კ. ფ. ცაპუკი ლაპარაკობს უდიდეს შრომითს აღმავლობაზე მაღაროელთა კოლექტივში, რომელიც წარმატებით ასრულებს სათბობის ამოღების დავალებებს. ამ შახტის ძირითად საწარმოო უბნებზე — სანგრევებში მუშაობს 125 კომუნისტი. ისინი ყველანი შრომის მაღალი ნაყოფიერების მაგალითს გვიჩვენებენ.

ამხ. ცაპუკი აკრიტიკებს რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მუშაობის მანკიერ პრაქტიკას. ამ სამინისტროს პარტიის XX ყრილობის შემდეგ ჯერ კიდევ არ გარდაუქმნია მუშაობა, საწარმოთა ხელმძღვანელობას ამოწურავს მრავალი წერილობითი მითითების გაგზავნით. სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები იშვიათად მიდიან შახტებში, ცოცხალი კავშირი არა აქვთ მაღაროელებთან და თავიანთი იშვიათი ჩამოსვლის დროსაც არ ეწევიან ორგანიზაციულ მუშაობას.

— ამას წინათ, — ამბობს ორატორი, — „გლავსტალინუგოლის" მთავარი ინჟინერი ამხ. პრილეპსკი მოვიდა შახტში, ჩავიდა მიწის ქვეშ, გაისეირნა ელექტრომავლით შტრეკში და ისე წავიდა საწარმოდან, რომ არც ერთ მუშას არ დალაპარაკებია. სამეურნეო ხელმძღვანელები ნაკლებად იჩენენ ინტერესს მეშახტეთა ყოფაცხოვრებისადმი.

ტრესტ „შახტიორსკშახტსტროის" მმართველმა ი. ი. ზაბლოდსკიმ გააკრიტიკა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაგეგმვისა და მასალების მიწოდების მანკიერი პრაქტიკა.

— მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, — ამბობს იგი, — ჩვენს ტრესტს 22-ჯერ შეუცვალეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა. მეგეგმავე ორგანოებს დიდი შეცდომები აქვთ შახტების ამუშავების ვადების განსაზღვრაში, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს მუშაობაში, სერიოზულად უშლის ხელს საქმეს.

ამხ. ზაბლოდსკიმ დააყენა საკითხი, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს სტრუქტურა, გაუქმდეს ზედმეტი რგოლები, რაც ხელმძღვანელობას მიაახლოებს მშენებლობებთან.

დონბასში და მის ფარგლებს გარეთ ფართოდ ცნობილია შახტ „კოჩეგარკის" კოლექტივის თაოსნობა. შახტის მუშებმა, ოსტატებმა და ინჟინრებმა პარტიული ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობით განახორციელეს შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა — ტონა ამოღებული ქვანახშირის მიხედვით, მოაწესრიგეს კომპლექსური მუშაობა და სამეურნეო ანგარიში უბნებში. ახლებურად მუშაობის პირველ შედეგებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში შახტის უფროსმა ლ. დ. სლიპჩენკომ.

— უბნებში, სადაც შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა და სამეურნეო ანგარიში განხორციელდა, — ამბობს იგი, — მკვეთრად გაიზარდა ამოღებასთან დაკავშირებულ მუშათა გამომუშავება და შემოსავალი, ერთიორად შემცირდა ქვანახშირის დანაკარგები, რაც შახტში შეადგენდა 7.000 ტონას თვეში. შემცირდა სათბობის თვითღირებულება. 1 აგვისტოდან ახლებურად მუშაობაზე გადაყვანილია ყველა ამომღები უბანი.

შახტის უფროსი მოუწოდებს სპეციალისტებს გულდასმით შეისწავლონ შექმნილი გამოცდილება. შრომის ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესება უნდა გახდეს მთელ აუზში ქვანახშირის ამოღების გადიდების სერიოზული სტიმული.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პარტიის სტალინოს საოლქო კომიტეტის მდივანმა ი. პ. კაზანეცმა, ტრესტ „კრასნოარმეისკშახტსტროის" № 3 სამშენებლო სამმართველოს [illegible] როსმა ა. ვ. [illegible], უკრაინის კპ პოპასნაიას რაიკომის მდივანმა პ. ვ. ბუტენკომ.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

იგი ლაპარაკობს ქვანახშირის მრეწველობის უდიდეს მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის. თუმცა უკანასკნელ წლებში ქვანახშირის ამოღება მნიშვნელოვნად გადიდდა, მაინც ამჟამად ჩვენ ვგრძნობთ ქვანახშირის ნაკლებობას. საერთოდ სხვა რაიონებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, ქვანახშირი არის, ზოგიერთ რაიონში ზედმეტიც კი არის, ხოლო აი დონეცის ქვანახშირი სსრ კავშირის ევროპული ნაწილის მრეწველობის საჭიროებებისათვის არ კმარა. ეს იმით აიხსნება, რომ ქვანახშირის მომხმარებელი მრეწველობა სწრაფად იზრდება, ხოლო ქვანახშირის ამოღება, განსაკუთრებით დონბასში, ამ ზრდას ჩამორჩება.

— ჩვენ ახლა ვეძებთ იმის შესაძლებლობებს, — ამბობს ამხანაგი ხრუშჩოვი, — რომ შევამციროთ დონეცის ქვანახშირის მოხმარება. ვილებთ ღონისძიებებს, რათა ატომის ელექტროსადგურები, რომელთა აშენება დასახულია მეექვსე ხუთწლედში, ავაგოთ იმ რაიონებში, რომლებიც დონეცის ქვანახშირს იყენებენ. ჩქარდება სტავროპოლ-მოსკოვის გაზსადენის მშენებლობა, დავაჩქარებთ დაშავა-მინსკ-ლენინგრადის გაზსადენის მშენებლობასაც. მხედველობაში გვაქვს რკინიგზის ტრანსპორტის ნაწილი გადავიყვანოთ ნავთობის სათბობზე.

ყველა ამ ღონისძიებას ვილებთ. და მაინც მთავარი ის არის, რომ აქ, დონბასში, მკვეთრად გავადიდოთ ქვანახშირის ამოღება. უშუალოდ შახტებში მომუშავე მეშახტეებზე რომ ვილაპარაკოთ, ისინი თავიანთ მოვალეობას ცუდად როდი ასრულებენ, პატიოსნად შრომობენ. მაგრამ შრომის ცუდი ორგანიზაციის შედეგად ბევრი შახტი გეგმას ვერ ასრულებს. მაშასადამე, საჭიროა გავაუმჯობესოთ შახტების მუშაობა, სრულვყოთ დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მართვის სტრუქტურა. აქ ყველაფერი ჯერ კიდევ რიგზე როდია.

მრეწველობის მართვის სწორი სტრუქტურის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლა ჩვენში ბევრი რგოლია, თუ დავიწყებთ შახტებიდან, და არ ავიღებთ უბანს, თუმცა დიდ შახტებში უბნებიც უნდა ჩავთვალოთ. და აი გამოდის: უბანი, შახტი, ტრესტი, მთავარი სამმართველო, რესპუბლიკური სამინისტრო, საკავშირო სამინისტრო. თვითეულ ამ რგოლში დასაქმებულია ბევრი ინჟინერი, რომელთა ადგილი უწინარეს ყოვლისა იქ არის, სადაც ქვანახშირს იღებენ — შახტში. ახლა კი ბევრი მათგანი მუშაობს არა ინჟინრის საქმეზე, არამედ ქაღალდების თხზვაზე.

როცა ქვანახშირის რესპუბლიკური სამინისტრო იქმნებოდა, მხედველობაში გვქონდა მიგვეახლოებინა ხელმძღვანელობა შახტთან. მაგრამ ახლა შექმნეს მთავარი სამმართველოები, რომლებმაც ეს სამინისტრო შახტებს დააშორეს. რა საჭიროა მთავარი სამმართველოები? მე ვფიქრობ, ეს ზედმეტი რგოლია. (ტაში). საჭიროა, რომ შახტებში მომუშავე ინჟინრებს ყოველნაირად ახალისებდნენ. ზოგიერთი ამხანაგი პენსიების ახალ კანონთან დაკავშირებით წინადადებას იძლევა, რომ ინჟინრებს გადიდებული პენსიის უფლება ჰქონდეთ 50 წლის ასაკის მიღწევისას და მუშაობის საერთო სტაჟის დადგენისას, თუ მათ შახტში იმუშავეს სულ ცოტა 5 წელიწადს. მაგრამ, თუ სამთო ინჟინერმა შახტში მარტო ხუთ წელიწადს იმუშავა, მას ჯერ კიდევ შახტის კარგად გაცნობაც ვერ მოუსწრია.

საჭიროა წავახალისოთ ადამიანები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ქვანახშირის ამოღებაზე, რათა ინჟინრები შახტებიდან მთავარი სამმართველოებისა და ტრესტების კანცელარიებში არ გარბოდნენ.

ომამდელ დროსთან შედარებით ინჟინერთა რაოდენობა დონბასში თითქმის ხუთჯერ გადიდდა, ტექნიკოსებისა — 7,5-ჯერ. 1940 წელს 2.417 ინჟინერი იყო, ხოლო 1956 წელს — 11.980. ტექნიკოსები იყო 2.624, ახლა კი არის 19.800. მაშასადამე, ინჟინრები და ტექნიკოსები ჩვენ საკმაოდ გვყავს. მაგრამ აი, თუ შახტებს გადავავლებთ თვალს, იქ სულ სხვა სურათი იქნება. შახტებში ისინი შედარებით ცოტანი არიან. სად წავიდა ყველა ეს ინჟინერი და ტექნიკოსი? ისინი სხვადასხვა გზით კანცელარიებში გაიბნენ. ეს უნდა გამოსწორდეს, უპირატესობა ყოველი მხრივ უნდა მიეცეთ იმათ, ვინც უშუალოდ ქვანახშირზე მუშაობს.

შახტში მუშაობა უბრალო საქმე როდია, ტყუილად კი არ ეძახოდნენ ძველად სამთო საქმეს სამთო ხელოვნებას. სამთო საქმეს ხომ სხვადასხვა შახტში სხვადასხვანაირად უძღვებიან. ამიტომაც ადამიანები მას ხელოვნებას უწოდებდნენ. კარგად წაიყვანო საქმე, უნარიანად გამოიყენო თვითეული შახტისა და ცალკეული უბნის გეოლოგიური პირობები — ეს ნაწილობრივ ხელოვნებაა. (ტაში). და იგი სრულყოფილად რომ ავითვისოთ, საჭიროა

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# უკრაინის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა თათბირი

(დასასრული)

წლები, საჭიროა, რომ შახტებში მყარი კვალიფიციური კადრები გვყავდეს.

ახლა შახტში მუშაობა გართულდა. რა მანქანა გინდათ, რომ აქ არ იყოს! საჭიროა ამ მანქანების მართვა, თვალყურის დევნება. ეს კი ჩვენში ყოველთვის როდია უზრუნველყოფილი. აი ჩვენ ვიყავით ჩელუსკინელთა სახელობის შახტში, პეტროვკაში, იქ მუშებმა და ინჟინრებმა სწორად დააყენეს კითხვა: ახლა დამცირებულია იმ ადამიანთა მნიშვნელობა, რომლებიც მომსახურებას უწევენ მექანიზმებს, — ელექტროზეინკლების, ელექტრომონტიორებისა და სხვების მნიშვნელობა. მაგრამ ახლანდელ პირობებში ხომ მათზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულების წარმატება.

უნდა წამოვწიოთ ამ კატეგორიის მეშახტეები, ავამაღლოთ მათი კვალიფიკაცია. უნდა ვამზადოთ აგრეთვე კომბაინებისა და საყელავი მანქანების ისეთი მემანქანეები, რომლებიც ყოველი უბრალო უწესივრობის გამოსასწორებლად ზეინკლებს კი არ უნდა მიმართავდნენ, არამედ თვითონ შეეძლოთ ამ უწესივრობის აღკვეთა. ახლა კი ხშირად ასეც ხდება: აგუგუნდა მოტორი, მემანქანემ იგი გააჩერა და ელის, სანამ ელექტროზეინკალი მოვიდოდეს. დრო გადის და ამოღება იშლება. ზეინკალი კი გაცილებით ნაკლებს იღებს, ვიდრე კომბაინის მემანქანე. ამბობენ, ბევრი ზეინკალი ტოვებს სამუშაოს, სხვა პროფესიას ეძებსო. ეს გასაგებიც არის, სადაც მეტს გამოიმუშავებს, ადამიანი იქით ისწრაფვის. ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ყველა მიწისქვეშა მუშა, მათ შორის ელექტროზეინკლები, მექანიკოსები და მექანიზმებთან დაკავშირებული სხვა მუშები, უშუალოდ იყვნენ დაინტერესებულნი ხელფასით ამოღებული ქვანახშირის რაოდენობის მიხედვით. მაშინ ისინი სათადარიგო ნაწილებსაც იპოვნიან და კაბელსაც მალე მონახავენ.

მე ვკითხე ზოგიერთ მუშაკს, თუ ყველა კომბაინისა და საყელავი მანქანის წარმადობას გავადიდებთ თუნდაც საშუალო გამომუშავებამდე, დამატებით რამდენ ქვანახშირს მივიღებდით-მეთქი? მეუბნებიან, გეგმას შევასრულებდითო. და ეს, როგორც ჩანს, სწორია.

გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ თუ 1956 წლის პირველ ნახევარში კომბაინები მიაღწევდნენ საგეგმო წარმადობას, ხოლო საყელავი მანქანების წარმადობა თუნდაც იმ დონეზე დარჩებოდა, რომელიც ფაქტიურად მიღწეულ იქნა 1955 წელს, დონბასი დამატებით ამოიღებდა 4,6 მილიონ ტონას და შეასრულებდა ქვანახშირის ამოღების გეგმას. მაშასადამე, საქმე მარტო ის როდია, რომ მეტი მანქანა მივცეთ, არამედ მთავარია გავაუმჯობესოთ მუშაობის ორგანიზაცია და ამ მანქანების გამოყენება. ეს ხომ ფაქტია, რომ დიდძალი სამთო ტექნიკა, რომელიც შახტებშია, სხვადასხვა უწესივრობისა და არაორგანიზებულობის გამო მომცდარია.

შემდეგ ამხანაგი ხრუშჩოვი ლაპარაკობს შახტებისადმი ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებზე.

— შახტში საქმეს, — აღნიშნავს იგი, — კაბინეტში ჯდომით ვერ გამოასწორებ, ქვანახშირს სხდომებითა და თათბირებით მაღლა ვერ ამოიტან. წარმოებას უნდა მართავდე შახტში და არა მარტო ბრძანებებითა და განკარგულებებით.

ავიღოთ უკრაინის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს მუშაობის პრაქტიკა. სხდომა აქვს კოლეგიას და განიხილავს ტრესტების მმართველთა და სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა 15-20 ანგარიშს. ამ საკითხებზე სულ ცოტა 60 კაცს გამოიწვევენ — არანაკლებ სამი კაცისა თითო საკითხზე, თორემ კოლეგია სოლიდური არ იქნებაო. (სიცილი). ისინი მთელ დღე-ღამეს სხედან იქ ნაცვლად იმისა, რომ მუშაობას აწყობდნენ ლავებში, უბნებში. მერე ესენი ხომ ყველაზე კვალიფიციური ადამიანები არიან — შახტის უფროსები, ტრესტის მმართველები. უბნის უფროსებს კოლეგიის სხდომებზე მართალია არ იწვევენ, და ეს არის ერთადერთი ნუგეში. (სიცილი). სამაგიეროდ უბნის უფროსებს ეძახიან ტრესტში, პარტიის რაიკომში, ხშირად მათ ეძახიან შახტის უფროსები და პარტორგანიზაციის მდივნები. ამიტომ გამოდის, რომ ადამიანები ენერგიას ხარჯავენ არა ქვანახშირის ამოღებაზე, არამედ სხდომების მოსაწყობად.

განა უკეთესი არ იქნება, რომ ტრესტის მმართველები, სამინისტროს მუშაკები უფრო ხშირად მიდიოდნენ შახტებში, ლავებში, და იქ, ადგილობრივ, ნახულობდნენ, თუ როგორ არის მოწყობილი მუშაობა ქვანახშირის ამოსაღებად. სწორედ ეს იქნება ანგარიში და ინსპექტირება. ჩვენ სხდომების წინააღმდეგი როდი ვართ, სხდომები საჭიროა, უსხდომოდ არ იქნება კოლექტიური მართვა, მაგრამ სხდომებს ზომიერად უნდა ვაწყობდეთ და კარგად ვამზადებდეთ.

ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელებს მეტად უყვართ მიწერმოწერა. აი მაგალითად, ვოროშილოვგრადის ქვანახშირის მთავარმა სამმართველომ მიმდინარე წლის შვიდ თვეში მიიღო 915 ბრძანება და სადირექტივო წერილი და 1.516 დეპეშა, ამასთან თვითონაც გასცა 190 ბრძანება და ადგილებს დაუგზავნა 1.124 დეპეშა და 6.375 წერილი. ამისათვის ხომ საჭიროა ბრძანებათა სპეციალური „მწერლები" გავიჩინოთ! მე დარწმუნებული ვარ, რომ ვინც ამ წერილებს ხელი მოაწერა, არათუ არ დაუწერია ისინი, არამედ არც წაუკითხავს. (ტაში). პირდაპირ შეუძლებელიც არის ყველა ამ წერილის წაკითხვა.

ვოროშილოვგრადის ქვანახშირის ტრესტის შახტ „ნიკანორში" გასულ წელს მიღებულ იქნა 1.800 ბრძანება და განკარგულება, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში — 265 ბრძანება სამინისტროებიდან და 580 ბრძანება და განკარგულება ტრესტიდან. გარდა ამისა, შახტმა მიიღო 247 მითითება ტელეგრაფით. შახტის უფროსი ამხ. კუხარენკო პირდაპირ ამბობს, რომ იმდენ ბრძანებას იღებენ, რომ მათ აღარც კი კითხულობენ, წაუკითხავად უგზავნიან სხვებს, ამასთან ეს ტექნიკური მდივნის მთავარი მოვალეობა გახდა. ესეც თქვენი „ტექნიკური ხელმძღვანელობა!" (სიცილი).

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი გადადის ქვანახშირის თვითღირებულების საკითხზე. 1956 წელს ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 6 მანეთითა და 56 კაპიკით მეტია გეგმაზე. წლის პირველ ნახევარში თვითღირებულების ხაზით გადახარჯვამ შეადგინა 386 მილიონი მანეთი. ხოლო რაკი ქვანახშირი უფრო ძვირი გახდა, მაშასადამე, დაგროვება ნაკლებია — ქვანახშირის თვითღირებულება ხომ მანქანათმშენებლობაზეც და წარმოების ყველა სხვა დარგზეც ნაწილდება. სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს და მივაღწიოთ ქვანახშირის თვითღირებულების, მის ამოღებაზე დანახარჯების შემცირებას.

— მე ვნახე, — ამბობს ამხანაგი ხრუშჩოვი, — გამაგრების კარგი ნიმუშები შახტებში, ჭაურების ჩინებული გაყვანა. ჩვენ, მაგალითად, ვიყავით ხარციზსკის რაიონში, ვნახეთ ახალი საბურღავი აგრეგატი, რომელიც შახტის ჭაურებს ბურღავს. კარგი გამაგრება ვნახეთ შახტში „ვეტკა-გლუბოკაიაში". ეს საქმე ყოველნაირად უნდა გავაფართოოთ, რკინაბეტონის ტიუბინგებით ჭაურების გამაგრება დააჩქარებს ჭაურების გაყვანას.

ამხანაგი ხრუშჩოვი მთელი რიგი მაგალითებით ცხადყოფს, რომ ხელსაყრელია ასაწყობი რკინაბეტონის ბიგები. ამჟამად ეს საქმე კარგად მიდის. მართალია, ამბობს იგი, ვოროშილოვგრადში მიამბეს, რომ ზოგჯერ ცუდი ხარისხის ბიგები მოაქვთ. იბადება კითხვა, ვინ გააკეთა ის ბიგები, ვინ ჩატვირთა, ვინ მიიღო? რატომ დაწესებული არ იყო საჭირო კონტროლი?

რკინაბეტონის ტიუბინგები უფრო მკვიდრი ცემენტით უნდა კეთდებოდეს. საჭიროა ვიფიქროთ სილიკატის ტიუბინგებზე, ისინი უფრო იაფი იქნება. ყოველივე ეს უფრო სწრაფად უნდა წავწიოთ წინ, რათა შევამციროთ ხე-ტყის ხარჯვა. თქვენ იცით, თუ რა არის ხე-ტყე, რა ძნელია მისი დამზადება და გამოზიდვა შორი მხარეებიდან.

სწორად იქცევიან, ლავებში ხის ბიგებს ლითონის გადასატანი ბიგებით რომ ცვლიან. მაგრამ ცუდი ის არის, რომ მათ არ უფრთხილდებიან. ამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში შახტებში დაკარგულა 962 ათასი ლითონის ბიგი, რომელთა საერთო წონა 35 ათასი ტონაა. ასეთი მფლანგველობა შეუწყნარებელია.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს საშახტო მშენებლობა. საჭიროა, ამბობს იგი, ბოლო მოეღოს სახსრების მშენებლობის ბევრ ობიექტზე დაქსაქსვის პრაქტიკას.

— როცა გუშინწინ, — ამბობს ამხანაგი ხრუშჩოვი, — გამოვიდნენ გვირაბგამყვანები ვოროშილოვგრადის ოლქის შახტ „ნოვო-პავლოვკაში", პირდაპირ მიხაროდა, ამ შესანიშნავ ადამიანებს რომ ვუსმენდი. ერთ-ერთმა ორატორმა გვიამბო, რომ მათთან თვეში ჭაურების გაყვანამ შეადგინა 102 მეტრი, და ყველა ისინი გამაგრებულია რკინაბეტონის ტიუბინგებით.

მაშასადამე, ჩვენ გვაქვს გვირაბგაყვანის პროგრესული მეთოდებიც, გამაგრების კარგი სისტემაც და ამ გამაგრებისათვის შესაფერისი მასალებიც. მაგრამ ამ საქმის ორგანიზაცია აშკარად ჩამორჩება. არ შეიძლება აშენო შახტი, თუ იქ მიყვანილი არ არის რკინიგზა ან გზატკეცილი, ხოლო ყველას აჯობებს, თუ ორივე იქნება. უნდა აშენოთ ბინები, გაიყვანოთ წყალი, ელექტროენერგია. როცა ყოველივე ამას გააკეთებ, მაშინ დაიწყე შახტის შენება. მე ამით, არავითარ აღმოჩენას არ ვაკეთებ, თქვენ თვითონ იცით ყველაფერი, რომ ეს ანბანური ჭეშმარიტებაა; მაგრამ ხშირად მუშაკებს აკლიათ ორგანიზებულობა და ნებისყოფის ძალა, რომ ეს განახორციელონ.

შემდეგ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ საჭიროა მოწესრიგდეს მშენებლობათა მომარაგება მასალებით, გაუმჯობესდეს მათი გამოყენება. იმის გამო, რომ მასალებს დროზე არ აწვდიან მშენებლობაზე, დიდი მოცდენაა.

საჭიროა აგრეთვე გავაუმჯობესოთ სამთო მანქანათმშენებლობის ქარხნების მუშაობა, მივუახლოოთ მათი მმართველობა ქვანახშირის წარმოებას. ზოგიერთი მუშაკი წინადადებას აყენებს, რომ უკრაინაში განლაგებული ქარხნები გადაეცეს რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, რადგან ეს ქარხნები ძირითადად ემსახურებიან დონბასის შახტებს და უმთავრესად მომარჯვებული არიან დონბასის საჭიროებებისათვის. ღირს, რომ ვიფიქროთ ამაზე და, შესაძლოა, დადებითად გადავწყვიტოთ. მე უკვე ვილაპარაკე ხარციზსკის რაიონში შახტის ჭაურის ბურღვაზე. საბურღავი მანქანა ამ ჭაურისათვის გაკეთებულია ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში. იბადება კითხვა, რატომ კრამატორსკის ქარხანაში არა? ურალის და კრამატორსკის მანქანათმშენებელი ქარხნები ხომ ერთი პროფილის ქარხნებია. მაშ რატომ უნდა მოგვქონდეს მანქანა ურალიდან? უყაირათობა გამოდის.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს ხელფასის სისტემაში აბნეულობას და ამბობს: საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ თვითეულმა მუშამ იცოდეს, რომ მან დღეს მოგვცა ამდენი და ამდენი ქვანახშირი და ამ შრომაში მას ესა და ეს საზღაური ერგება. ახლა კი რა გამოდის? ხელფასის დარგში გეგმა ჩვენში გადაჭარბებით სრულდება, წარმოების, ქვანახშირის ამოღების დარგში კი არ სრულდება. ეს იმიტომ ხდება, რომ ნორმების საქმე არიეს, ბევრი შემოიღეს პროგრესიული ანაზღაურების წესები, შექმნეს ხელფასის მეტად რთული სისტემა. საჭიროა ყოველივე ამაში საფუძვლიანად გავერკვეთ, მოვეთათბიროთ მუშებს, ისე გავაკეთოთ, რომ ხელფასის გაცემა ხდებოდეს მუშის შრომის ნაყოფიერების, ამოღებული ქვანახშირის რაოდენობის მიხედვით.

1921 წელს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომელშიც შემდეგი იყო ნათქვამი: „ხელფასის გამოანგარიშების სისტემა იმდენად მარტივი და ნათელი უნდა იყოს, რომ კავშირი ნაყოფიერებასა და ხელფასს შორის გასაგები იყოს თვითეული მუშისა და მოსამსახურისათვის". ძალიან კარგი ნათქვამია! მაშ მოდით ვიხელმძღვანელოთ ამ პრინციპით, რომელიც ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ეხება მუშათა კადრების შენარჩუნების საკითხს. ძირითადი კადრები შახტებში არის, მაგრამ საჭიროა მათი შევსება წარმოების გაფართოებასთან დაკავშირებით. მაგრამ არ შეიძლება ვზრდიდეთ ამოღებას მარტო მუშათა რაოდენობის გადიდების გზით, საჭიროა ეს ხდებოდეს უმთავრესად მექანიზაციის გაძლიერების გზით, შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით.

მუშათა შენარჩუნებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია მათი უზრუნველყოფა ბინით. საითაც უნდა წავიდეთ დონბასში, სადაც წინათ ველი იყო, — ახლა მუშათა დაბებია, ბინები კი მაინც არ არის საკმარისი. რატომ გამოდის ასე? იმიტომ, რომ ბევრი ბინა ნიავდება, არასწორად ნაწილდება.

უნდა დავაწესოთ უმტკიცესი კონტროლი საცხოვრებელი ფართობის განაწილებაზე. საჭიროა, რომ თვითეულ შახტს, თვითეულ ქარხანას საკუთარი საბინაო ფონდი ჰქონდეს. ცუდი არც ის იქნება, რომ შახტისათვის, ქარხნისათვის საჭირო ადამიანს სახლიც ავუშენოთ, კარგი ბაღიც გავუშენოთ. უკეთესი ბინები უნდა მიეცეთ მიწისქვეშა მუშებს — მემანქანეებს, ელექტროზეინკლებს და სხვებს. ვინც შახტში მუშაობას მიატოვებს, ბინაც გაათავისუფლოს. სწორი იქნება, ამხანაგებო, ეს თუ არა?

**შეძახილები: სწორია, სწორი!**

მომჭირნეობით უნდა ვხარჯოთ სახსრები და მასალები, ხოლო განა გონივრულად მოიქცნენ ქალაქ სტალინოში, მთელი რიგი სახლები რომ დაანგრიეს და მობინადრენი იმ სახლებში გადაიყვანეს, რომლებიც აგებული იყო შახტ „ვეტკა-გლუბოკაიას" მუშებისათვის. ეს მფლანგველობაა, რომელიც გადაჭრით უნდა დავგმოთ. ჩვენში ხომ კიდევ ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებსაც მწვავედ ესაჭიროებათ ბინა, და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა დავაჩქაროთ საბინაო მშენებლობა, არ დავუშვათ ზედმეტობა.

— საჭიროა, — ამბობს შემდეგ ამხანაგი ხრუშჩოვი, — ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული მუშაობა, უკეთ ვიცნობდეთ ადამიანებს, უფრო მჭიდროდ ვიყოთ დაკავშირებული კომბაინერებთან, საყელავი მანქანების მემანქანეებთან, ამწმენდებთან, ყველა იმ ადამიანთან, ვინც ქვანახშირს იღებს. უნდა ვნახოთ, როგორ მიმდინარეობს ჩვენში პარტიული და მუშათა კრებები, როგორ უსმენენ ხელმძღვანელები მუშებს, როგორ მუშაობენ კლუბები, კინოები, სასადილოები, მაღაზიები, როგორ არის მოწყობილი ვაჭრობა. ყველა ამ საკითხს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა გავაუმჯობესოთ ორგანიზატორული მუშაობა ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში, განვამტკიცოთ პარტიული კომიტეტების კავშირი მასებთან.

თავის სიტყვის დასკვნით ნაწილში ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი შეეხო საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხს.

— ჩვენი მრეწველობა, — თქვა მან, — კარგად მუშაობს. წელს მარცვლეულის კარგი მოსავალი მოვიდა, საჭიროა მხოლოდ ავიღოთ იგი.

ახლა საჭიროა სწრაფად წამოვწიოთ მეცხოველეობა. ეს უფრო ძნელია, მაგრამ შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ამ ამოცანასაც წარმატებით გადავწყვეტთ. რძის მხრივ უკვე გამოვედით ფართო გზაზე. სასიხარულოა, რომ თქვენშიც, დონბასში, ახლა მუშებს შეუძლიათ საკმაო რაოდენობით იყიდონ რძე. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს სულ უფრო მეტი რძე მივცეთ მოსახლეობას და შემდეგ შევამციროთ მისი ფასი.

წელს უმჯობესდება საქმე ბოსტნეულის მხრივ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ძალიან პრიმიტიულად ვუძღვებით ბოსტნეულის მეურნეობას. მოგვყავს უმთავრესად კომბოსტო, ჭარხალი, ხოლო პამიდორი, სტაფილო, ხახვი ჯერ კიდევ ცოტაა. უნდა გავაფართოოთ ბოსტნეულის ასორტიმენტი, მოვაწყოთ მისი გადამუშავება.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, მრეწველობაც, სოფლის მეურნეობაც მტკიცედ მიდიან წინ, ძლევენ თავიანთ ამოცანებს. ვფიქრობ, რომ ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებიც გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას. ძალღონე გაქვთ, სურვილი გაქვთ და შეძლებთ მიაღწიოთ იმას, რომ დონბასი კიდევ უფრო კარგად დაეხმაროს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წარმატებით წინსვლას.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა კარგია. სსრ კავშირში ზედიზედ ჩამოდიან უცხოეთის დელეგაციები. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი იზრდება. ჩვენ არ ვთავმდაბლობთ, ვიცით ჩვენი ძალა. მაგრამ ჩვენ გვინდა ეს ძალა გამოვიყენოთ არა ომისათვის, არამედ მშვიდობისათვის, ჩვენი ხალხისათვის, მისი მატერიალური და კულტურული სიკეთის გამრავლებისათვის, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ტყუილად როდი ამბობენ ახლა ამერიკელები, საბჭოთა კავშირი შეერთებულ შტატებზე მეტ ტექნიკურ კადრებს ამზადებსო, და ეს მიაჩნიათ მათ ყველაზე დიდ საფრთხედ თავიანთთვის. რისა ეშინიათ? მათ, ამხანაგებო, ეშინიათ მშვიდობიანი შეჯიბრებისა სოციალიზმის ქვეყანასთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა ამოცანა — უმოკლეს ისტორიულ ვადებში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მხრივ. რაც უფრო კარგად გამოვიყენებთ ჩვენს ძალებს, მასალებს, ადამიანებს, მით უფრო მალე მივაღწევთ ამ მიზანს, მით უფრო წარმატებით გადავწყვეტთ ამოცანებს, რომლებიც ჩვენმა პარტიამ დასახა. (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგო მეშახტეებო! თქვენი შრომა მძიმეა, მაგრამ კეთილშობილურია. ათასობით ადამიანი მიდის სამუშაოდ შახტში იმიტომ, რომ ეს ესაჭიროება სამშობლოს. დიდება იმ კომკავშირელებს, რომლებიც გულდიად და წმინდა სულით გამოეხმაურნენ ჩვენი პარტიისა და მთავრობის მოწოდებას და წამოვიდნენ დონბასში სამუშაოდ. (ხანგრძლივი ტაში).

ამ შესანიშნავი ახალგაზრდობისათვის კარგად და გულთბილად უნდა ვიზრუნოთ, წავახალისოთ იგი გამომუშავებით, ისე გავაკეთოთ, რომ ეს ახალგაზრდობა მატერიალურად უკეთეს პირობებში იყოს ჩაყენებული, ვიდრე სხვა პროფესიათა ახალგაზრდა მუშები. ვფიქრობ, ძველი მაღაროელები, პარტიული და პროფკავშირული მუშაკები, ინჟინრები და ტექნიკოსები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ ახალ შესანიშნავ შევსებას.

ჩვენი ქვეყანა მეტ ქვანახშირს მოელის დონბასისაგან. და დონბასის მუშები, დარწმუნებული ვარ, პირნათლად შეასრულებენ ამ ამოცანას. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ და დაუცხრომლად განვავითაროთ, წინ წავწიოთ დიადი მონაპოვარნი, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა მიაღწია ლენინის ხელმძღვანელობით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ახლა ჩვენ განუზომლად უფრო უკეთეს მდგომარეობაში ვართ, ვიდრე წინა წლებში. ჩვენ ხომ ახლა სოციალიზმის ერთადერთი ქვეყანა არა ვართ: ჩვენთან არის დიდი სახალხო ჩინეთი, ჩვენთან არიან სხვა ქვეყნები, რომლებიც დაადგნენ სოციალისტური მშენებლობის სახელოვან გზას.

მაშ წინ წავიღოთ ლენინის უძლეველი დროშა! (ხანგრძლივი ტაში).

წინ კომუნიზმისაკენ! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

* * *

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა უკრაინის ქვანახშირის მრეწველობის ყველა მუშისადმი იმის შესახებ, რომ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება ქვანახშირის ამოღების და უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის წლის მეორე ნახევრის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

# ქალაქ სტალინოს მშრომელთა ასიათასიანი მიტინგი

სტალინო, 17 აგვისტო. (საქინფორმი). „შახტიორის" ცენტრალურ სტადიონზე ჯერ არასოდეს არ ყოფილა ასე ბევრი ხალხი, როგორც დღეს. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ აქ, საერთო-საქალაქო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა უკრაინის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა ეს არის დამთავრებულ თათბირს, შეიკრიბა საოლქო ცენტრის საწარმოთა და დაწესებულებათა ასი ათასამდე მუშა, ინჟინერი და მოსამსახურე.

აქ მოვიდნენ პეტროვკის, რუდჩენკოვოს, ბუდიონოვკის მეშახტეები, სტალინო-ზავოდსკის რაიონის მეტალურგები და მანქანათმშენებლები, სმოლიანკის ქიმიკოსები, ქალაქის სხვა რაიონების მშრომელები. მოვიდნენ რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი — დონეცის აუზის, ლვოვისა და ვოლინის ოლქების, ალექსანდრიის ქვანახშირის ჭრილების მაღაროელები.

ტრიბუნაზე არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ა. ი. კირიჩენკო, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი ამხ. ა. ნ. ზადემიდკო, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრი ამხ. ლ. გ. მელნიკოვი, უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი ამხ. ა. ფ. ზასიადკო, უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრი ამხ. გ. ვ. კრასნიკოვსკი, რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

გახსნა რა მიტინგი, პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ა. ტიტარენკომ ქალაქის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამი გადასცა უკრაინის მეშახტეებსა და შახტმშენებლებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ რესპუბლიკურ თათბირში.

სიტყვა ეძლევა უკრაინის კპ სტალინოს საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. ი. პ. კაზანეცს. იგი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ ოლქის მშრომელებმა დიდი მუშაობა გასწიეს მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის, რომლის წილად ახლა მოდის ოლქში გამოშვებული მთელი პროდუქციის 85 პროცენტი.

— ჩვენში, — ამბობს ამხ. კაზანეცი, — არიან მოწინავე შახტები და ტრესტები, მაგრამ მთლიანად ქვანახშირის მრეწველობა გეგმას ვერ ასრულებს. თათბირზე გამომჟღავნდა დიდი ნაკლოვანებანი ჩვენს მუშაობაში, ჩვენ დიდ ვალში ვართ სახელმწიფოს წინაშე, ჩვენს ქვეყანას დავაკელით ბევრი დონეცური ქვანახშირი.

ოლქის მშრომელთა სახელით იგი პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მეშახტეები დაძლევენ ჩამორჩენას, გაადიდებენ დონეცური ქვანახშირის ამოღებას, რომელიც საჭიროა ჩვენი ქვეყნის მზარდი სახალხო მეურნეობისათვის.

ტრიბუნაზეა ტრესტ „კუიბიშევუგოლის" № 10-ბის შახტის ამწმენდი ამხ. მ. მ. ტარასოვი.

— [illegible] —

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა პირველ რიგებში უნდა იყვნენ, რადგან ისინი პურს აძლევენ მრეწველობას. მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჩვენი კოლექტივი პირნათლად ასრულებს ამოცანებს, რომლებიც პარტიის ყრილობამ დაგვისახა. შვიდთვენახევარში ჩვენ გეგმის გადამეტებით ამოვიღეთ თხუთმეტი ეშელონი ქვანახშირი, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შევასრულეთ მოსამზადებელ სამუშაოთა დავალება. წელს შახტმა დაზოგილია მილიონ მანეთზე მეტი სახელმწიფო სახსრება.

ამხ. ტარასოვი მოუწოდებს ქალაქის ყველა მეშახტეს ღირსეულად სამეებით შეხვდნენ მოახლოებულ დღესასწაულს — მეშახტის დღეს.

სიტყვას ამბობს ტრესტ „კუიბიშევუგოლის" კაგანოვიჩის სახელობის შახტის უფროსი ამხ. ა. ი. დანილჩენკო.

— ახალი ხუთწლედის გეგმაში ნათქვამია, რომ ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მუშაკებმა სახალხო მეურნეობას უნდა მისცენ 593 მილიონი ტონა ქვანახშირი. ჩვენი შახტის წილად მოდის მილიონნახევარი ტონა. ჩვენი საწარმოს მუშებმა და ინჟინრებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს შეასრულონ ხუთწლიანი გეგმა ვადამდე, ოთხნახევარ წელიწადში.

ამხ. დანილჩენკო აცხადებს პირველ წვლილს, რომელიც კოლექტივმა შეიტანა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში: წლის დამდეგიდან დამატებით ამოღებულია 24 ათასი ტონა ქვანახშირი. ორატორი მიმართავს ჩამორჩენილი შახტების კოლექტივებს დარაზმონ არსებული რეზერვები და მოკლე ვადაში დაფარონ ქვანახშირის ვალი, მიაღწიონ იმას, რომ ქალაქის ყველა საწარმომ შეასრულოს სახელმწიფო გეგმები.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელსაც დონბასის დედაქალაქის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალედ მიესალმება დონეცელ მაღაროელებს, რომელთა საგმირო საქმეები ცნობილია მთელი ჩვენი ქვეყნისათვის.

მიტინგის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ კარგი წარმატებანი მოიპოვეს. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ დონბასის მშრომელები, პირველ რიგში მეშახტეები, არ დაიშურებენ ძალებს მეექვსე ხუთწლედის გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის და თავიანთ წვლილს შეიტანენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონისა და კულტურის ამაღლების საქმეში. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავისი სიტყვა დაამთავრა მოწოდებით — მაღლა ვვეჭიროთ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა.

გაისმის გამარჯვების შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პატივსაცემად.

## მზადება საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის

# მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის

წელს ჩვენს კოლმეურნეობას, რომელიც კრასნოდარის მხარის ტიმაშევსკაიას რაიონის მედვედოვსკის კოლმეურნეობა „პუტ კომუნიზმას" ეჯიბრება, 2.819 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურები ეთესა. გეგმით საშუალოდ ჰექტარზე 16 ცენტნერი მოსავალი უნდა მოგვეყვანა, ფაქტიურად მიღებულია 21,47 ცენტნერი, რაც დაახლოებით 1,5 ცენტნერით აღემატება პერსპექტიული გეგმით 1960 წლისათვის გათვალისწინებულ დონეს.

მემინდვრეობის ბრიგადამ, რომელსაც რამდენიმე წელია ვხელმძღვანელობ, მოსავლის აღება 545 ჰექტარზე 12 სამუშაო დღეში დაამთავრა. ჩვენ საშუალოდ ჰექტარზე 22,2 ცენტნერი ხორბალი გავლეწეთ. ხორბლის მაღალი მოსავლის მიღებით კოლმეურნეობამ და ჩვენმა ბრიგადამაც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვეს.

მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა მკის დამთავრებისთანავე დავიწყეთ და თესვისათვის კარგადაც მოვემზადეთ. „ნოვოუკრაინკას" ჯიშის 108 ტონა სათესლე ხორბალი ხაგულდაგულოდ გავასუფთავეთ და ბეღელში შევინახეთ. წელს ჩვენი ბრიგადა საშემოდგომოდ ხორბალს 560 ჰექტარზე დათესავს.

საადრეო საშემოდგომო ხვნა წითელწყაროს მტს-ის მექანიზატორთა დახმარებით დავამთავრეთ ბრიგადისათვის მიჩენილ მთელ ფართობზე. ნახნავის სიღრმე 26-28 სანტიმეტრს შეადგენს.

გასულ წელსაც ხვნა ამავე პერიოდში ჩავატარეთ. ოქტომბრამდე ნახნავში სარეველები აღმოცენდა, ამიტომ თესვის წინ მთელი ფართობი 18 სანტიმეტრ სიღრმეზე გადავხანით, რითაც სარეველები თითქმის მთლიანად მოვსპეთ. წელსაც გათვალისწინებული გვაქვს თესვის წინ სათესი ფართობის გადავხნათ. თესვას, როგორც შარშან, ახლაც მთელ ფართობზე ჯვარედინად ჩავატარებთ, რაც დიდად უწყობს ხელს მცენარეთა ნორმალურ განაწილებასა და კვებას.

ა. ტოკლიკიშვილი,
წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაპარიძის კოლმეურნეობის მემინდვრეობის მეოთხე ბრიგადის ბრიგადირი.

# ხვნა გაჩაღდა

კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობები, რომლებმაც წელს მოსავალი შემჭიდროებულ ვადებში აიღეს, დროულად შეუდგნენ საშემოდგომო თესვისათვის მზადებას. კოლმეურნეები და მექანიზატორები მინდორს წმენდავენ ნამჯისაგან, ამზადებენ სათესლე მასალას.

ზემოაურისა და კაჭრეთის მტს-ების მექანიზატორები შეუდგნენ ხვნას. მუშაობა მიმდინარეობს დღისით და ღამით. უკვე მოხნულია 2.000 ჰექტარზე მეტი. წელს რაიონში საშემოდგომოდ ხორბალი და ქერი დაითესება 12 ათას ჰექტარზე.

თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობები გაცხოველებით ემზადებიან საშემოდგომო თესვისათვის. გაჩაღდა ხვნა. სოფელ კოდის კოლმეურნეობაში უკვე მოხნულია 500 ჰექტარი. რამდენიმე ასეული ჰექტარი მოხნულია სოფლების მარაბდის, ბორბალოს, ვაშლოვანის და სხვა კოლმეურნეობებში.

სულ მიმდინარე წელს საშემოდგომოდ რაიონში დაითესება 15 ათასი ჰექტარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავმჯდომარე კრიტიკას ახშობს

კურორტ აბასთუმნის ახლოს მდებარეობს წულუკიძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელიც ერთ-ერთი ჩამორჩენილი კოლმეურნეობაა ადიგენის რაიონში. აქ წლობით ვერ ასრულებენ მოსავლიანობის გეგმებს. შრომადღის ხვედრი მცირეა.

რა არის ამის მიზეზი? შრომის ცუდი ორგანიზაცია, სუსტი დისციპლინა. პატიოსანი კოლმეურნეების გვერდით მრავლად არიან ისეთებიც, რომლებიც თავს არიდებენ შრომით საქმიანობას, უკან ეწევიან კოლმეურნეობის საქმეებს.

რამდენიმე მაგალითი: კოლმეურნე ლუკა სტურუას 1951 წლიდან 1956 წლის 25 ივლისამდე 66 შრომადღე აქვს გამომუშავებული. ამ ხუთნახევარი წლის განმავლობაში მის შვილს ამირანს გამომუშავებული აქვს მხოლოდ 225 შრომადღე. რძალს ნინო სტურუას შარშან სრულებით არ უმუშავნია კოლმეურნეობაში, ხოლო წელს 25 ივლისამდე 26 შრომადღის გამომუშავებით დაკმაყოფილდა. ახალგაზრდა კოლმეურნე ნ. ჩილაშვილი 1953 წელს დაბრუნდა საბჭოთა არმიის რიგებიდან და დღემდე კოლმეურნეობაში არაფერი არ გაუკეთებია.

აქ შრომის დისციპლინის დამრღვევთა უმნიშვნელო პროცენტია ჩამოთვლილი. საერთო რაოდენობა კი დიდია.

შრომაზე კოლმეურნეთა გულის აცრუების ერთერთი მთავარი მიზეზია გამგეობის თავმჯდომარის გ. ბერიძის საქციელი. იგი თვითნებობს. ლანძღვა-მუქარით მიმართავს კოლმეურნეებს. თავმჯდომარე ხშირად მასების გვერდის ავლით, საერთო კრების დაუკითხავად წყვეტს მნიშვნელოვან საკითხებს.

ზამთრის სუსხიან დღეებში, როცა ფერმის პირუტყვს საკვები აკლდა, თავმჯდომარემ გადაწყვიტა სხვა რაიონებში შეეძინა თივა. საერთო კრების დაუკითხავად ამ საქმის მოგვარება დაევალა კოლმეურნე მ. ბაბაჯანიანს. თავმჯდომარის განკარგულებით ბაბაჯანიანმა კოლმეურნეებისაგან სესხად აიღო 6.000 მანეთი და თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ ნორიოში შესყიდული თივა და ნამჯა სადგურ ავჭალაში გადმოტვირთა. მალე ავჭალაში ჩავიდა თავმჯდომარე გ. ბერიძე და შეადგინა ყალბი აქტი დარაჯებზე ქირის სახით 652 მანეთის გაცემის შესახებ. თავმჯდომარის ხელით აქტში გაჩნდა მ. ბაბაჯანიანის ხელმოწერა, რომლის სიყალბეზე ხმა აიმაღლა ამ უკანასკნელმა. განაწყენებულმა თავმჯდომარემ „ინტრიგან“ კოლმეურნეზე შური იძია. მას ცხოვრების პირობები შეუზღუდა. ჩამოართვა და სხვას გადასცა საცხოვრებელი სახლი, უარი უთხრა სესხად აღებული 6.000 მანეთის გადახდაზე.

ნორიოში შეძენილი ასობით ტონა თივისა და ნამჯის ნაწილი თავმჯდომარემ გაანიავა.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია მოწოდებულია თვალყური ადევნოს არტელის მართვის დემოკრატიული პრინციპის დაცვას. აღკვეთოს თვითნებობისა და უხეშობის გამოვლინებანი, კოლმეურნეებს შთაუნერგოს საზოგადოებრივი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გრძნობა და განამტკიცოს დისციპლინა. მაგრამ აბასთუმნის საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას. მართალია, კრებას დროს წესრიგში ხშირად ვხვდებით სამეურნეო საკითხებს, მაგრამ მათ მოუმზადებლად განიხილავენ და კრება უფერულად, დაბალ იდეურ დონეზე ეწყობა.

პარტიულ კრებებზე გამოსული ორატორების სიტყვები აღსავსეა ამა თუ იმ კოლმეურნის ლანძღვით, მუქარით. მაგალითად, 2 ივლისს პარტიულმა კრებამ მოისმინა ბრიგადირ ს. მაზაშვილის მოხსენება სათოხნი კულტურების დამუშავების მიმდინარეობაზე. ბრიგადირმა, ნაცვლად იმისა, რომ აეხსნა შრომის დისციპლინის შესუსტების მიზეზები და წამოეყენებინა საჭირო წინადადებანი, თავისი სიტყვა ასე ააგო:

„პირველად ყველანი გამოდიოდნენ სამუშაოდ, შემდეგ კი იკლო მუშახელის გამოსვლამ. კომკავშირელი ნარიმან ცისკარაძე პროვოკატორია. მან პროვოკაცია გასწია, თითქოს მე ვუკარგავდე შრომადღეებს“.

გამოირკვა, რომ კომკავშირელი ცისკარაძე, მოწინავე კოლმეურნეა, მისი „დანაშაული“ ის არის, რომ ბრიგადის მუშაობაში ნაკლოვანებებს ვერ ითმენს.

კრიტიკა აბასთუმანში გასაქანს ვერ პოულობს. თუ ვინმე სამართლიანად გააკრიტიკებს ცუდი მუშაობისათვის, მას „პროვოკატორად“ აცხადებენ. კრიტიკის მოდუნება ასუსტებს პარტორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობას.

ერთ-ერთ საჩივარში კოლმეურნე ანა ოდილავაძე წერს:

„1954 წლიდან საექიმო კომისიის მიერ განთავისუფლებული ვარ მძიმე ფიზიკური სამუშაოდან. საკოლმეურნეო ბაღ-ბოსტნებსა და სხვა უბნებზე ცოტა როდია ისეთი სამუშაო, რომლის შესრულება შემიძლია. როცა თავმჯდომარეს მივმართე ამის შესახებ, მან მკვახედ მიპასუხა: მსუბუქი სამუშაო არის ბუღალტრის თანამდებობა და ჩემი ადგილი. დაჯექი ჩემს სკამზე და იმუშავე.

თავმჯდომარის ცუდი დამოკიდებულება ჩვენი ოჯახისადმი იმით არის გამოწვეული, რომ ჩემმა ქმარმა გ. ბერიძის ცუდ საქციელზე სიგნალი მისცა ზემდგომ ორგანოებსა და პარტიის ადიგენის რაიკომს. როცა ეს თავმჯდომარემ გაიგო, მოვიდა და გვითხრა:

— ვნახოთ, რას დამაკლებთ! ხვალაც უნდა წეროთ განცხადება, მაინც ადიგენში მოვა და საქმეს გავჩარხავო. იგი სამუშაოზე არ მიშვებს. გთხოვთ დაგვეხმაროთ“.

კოლმეურნე თაკობ კალანდიშვილის განცხადებაში ნათქვამია: „გაცნობებთ, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იძულებულს მხდის დავტოვო აქაურობა, გავყიდო სახლი და წავიდე სხვაგან“.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ამხ. გ. ბერიძე უხეშად ეპყრობა კოლმეურნეებს. ზემოაღნიშნული კოლმეურნენი შრომითი სიმამაცით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ მათი ჩაბმა აქტიურ საკოლმეურნეო შრომაში შეიძლება და ეს კიდევაც უნდა გაკეთდეს.

სოფელ აბასთუმნის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა პარტიის ადიგენის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ე. ხარებავა,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# ისინი ერთი ოჯახიდან არიან



გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ფერადი ყვავილებით შემოსილი მაუდ-კამვოლის ფაბრიკის ეზოში მორცხვად, გაუბედავად შედგა ფეხი ჯერ კიდევ ახალგაზრდა სოფლელმა ქალმა და კითხვა-კითხვით გაემართა სამმართველოსაკენ. მის ცხოვრებაში ამიერიდან ახალი ერა უნდა დაწყებულიყო, მისთვის ახალ წრეში, ახალ, ჯერ კიდევ უცხო გარემოცვაში. ეს გარემოცვა მასში თითქოს შიშის გრძნობასაც იწვევდა — ვინ იცის როგორ მივეჩვევიო, და მომავლის რწმენასაც ბადებდა — ირგვლივ ჩემსავით უბრალო ადამიანებს ვხედავ, კეთილ ადამიანებს, ისინი დამეხმარებიან, მასწავლიან და თავიანთი შრომის ფერხულში ჩამაბამენო.

ხოლო მერე, რაკი შრომის ფერხულში ჩაებმება, მარიამს აღარაფრის შეეშინდება, — სიბეჯითე მისი თანდაყოლილი თვისებაა.

— კადრების განყოფილება გინდა? — ხელი მკლავში გაუყარა ლურჯხალათიანმა ქალიშვილმა, — აგერ, ამ კიბეს აჰყევი, მერე მარჯვნივ... თუმცა, მე გამოგყვები... ჩვენთან მოდიხარ სამუშაოდ? ძაფსახვევ საამქროში სთხოვე, ჩვენთან ისეთი კარგი ხალხია!.. აი ამ კარში... ფანჯარასთან ქალი რომ ზის, იმასთან მიდი...

მარიამ გოგილაშვილი მალე სამუშაოზე მოაწყეს და იმ მართლაც კარგი ხალხის წრეში იწყო ტრიალი, ახალშეძენილი დობილების — თანამედაზგეების, ოსტატების მზრუნველობით, გულთბილ გარემოცვაში.

ეს იყო 1938 წელს.

და დაიწყო ახალი ცხოვრება, ხალისიანი, საინტერესო შრომა. იმ დღიდან მოყოლებული არ მოსცილებია მარიამ გოგილაშვილი ძაფსახვევ მანქანას. მან მალე მიიპყრო ძაფსახვევი საამქროს კოლექტივის ყურადღება როგორც ბეჯითმა, ენერგიულმა და საქმით დაინტერესებულმა ახალგაზრდა მუშამ.

მაგრამ მიუხედავად ახალგაზრდობისა, საკმაოდ დიდი და რთული ოჯახური საზრუნავი ასაკზე მეტი ხნოვანების დაღს ასვამდა მას.

მარიამ გოგილაშვილის ქმარს თავისი ხელობა საკმაო შემოსავალს ვერ აძლევდა, და მოიზრდა კიდეც ჯანღონით სავსე ვაჟკაცს — გიორგის დალაქობა. ოჯახში უკვე ღუღუნებდა პირმშო — ნათელა, შემდეგ



მოჰყვა თამარი, მოსალოდნელი იყო მომდევნოებიც...

გიორგის იმ ხანებში ცოტა პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდა სარემონტო საქმეებში.

— არაფერი მოიძებნება ჩემთვის სამუშაო თქვენთან მარიამ-ჩემო?!..— დაუსვა ერთხელ, სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ გიორგიმ საკითხი ცოლს, — რაიმე ისეთი, ცოცხალი სამუშაო, მკლავის ძალას რომ მოითხოვდეს ისეთი, აი თუნდაც საკალატოზო საქმე!..

მარიამი ისევ კადრების განყოფილებაშია, ახლა უკვე ქმრის სამუშაოდ მოწყობის თაობაზე:

— კალატოზობაც შეუძლია, სარემონტო საქმეებიც ეხერხება, პატიოსნად იმუშავებს... ხომ მოგეხსენებათ, ოჯახის პატრონი ვართ.

— კეთილი, მოვიდეს, ვნახოთ! — უპასუხეს მარიამს კადრების განყოფილებაში.

მივიდა გიორგი. მუშაობაში გამოსცადეს — მშვენიერი კალატოზი ყოფილა, ბეჯითი, საქმის მოყვარული...

ეს ორი მუშა ერთ წარმოებაში, ერთი ოჯახიდან.

ახლა ნათელა წამოიზარდა, დაქალიშვილდა, საშუალო სკოლა დაამთავრა და სიმწიფის ატესტატით ოჯახის გული გაახარა.

— საით ახლა, დედა გენაცვალოს, ჩააბარებ კია უმაღლესში? — მარიამმა ისეთი თვალით შეხედა თავის პირველ ქალიშვილს, ისეთი მოსიყვარულე, მზრუნველი თვალით, როგორითაც მხოლოდ დედას შეუძლია შეხედოს თავის პირმშოს.

მაგრამ ჭკვიან, დედასავით ბეჯით და შრომისმოყვარე ნათელას სულ სხვა გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული.

— მე თქვენთან მოვდივარ, დედა, სამუშაოდ. წარმოებაში მუშაობა ხელს არ შემიშლის სწავლის განგრძობაში...

გადაწყვეტილება და შესრულება ერთი იყო — მშობლების უკვე მშობლიურ საწარმოს ქალიშვილიც ეწვია.

ნათელა გოგილაშვილი ეს ერთი წელია მუშაობს, — იგი ძაფის (ნართის) წყვეტიანობის კონტროლიორია.

მარიამ გოგილაშვილს არ მიუბაძავს ზოგიერთ ფუქსავატი ქალისათვის, იგი არ შეუშინებია არც შვილთა სიმრავლეს, არც იმ ჯაფას და ზრუნვას, რასაც მრავალი შვილი დედისაგან მოითხოვს.

ახლა უკვე თამარი წამოიზარდა, ოჯახის მეორე ქალიშვილი, ისეთივე ბეჯითი და შრომისმოყვარე, როგორიც უფროსია.

თამარი დარწმუნდა უფროსი დის მაგალითით, რომ წარმოებაში მუშაობა არ გამორიცხავს სწავლის შესაძლებლობას, პირიქით — შრომასა და სწავლაში უფრო ხალისიანი ხდება სიცოცხლე, უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ცხოვრება.

ახლა თამარმაც გაიწია წარმოებისაკენ, მშობლებმა კი არ დაუშალეს, არამედ წაახალისეს იგი.

დღეს თამარ გოგილაშვილი დედმამისა და უფროსი დის გვერდით იბრძვის წარმოების ღირსებისათვის, გეგმების შესრულებისათვის. იგი სკოლიდან მივიდა შარშან წარმოე-



ბაში და ახლა მართფებელ მანქანაზე მუშაობს.

ახლა იკითხავთ ამ ქალიშვილების სწავლაზე:

ნათელა ბეჯითად მეცადინეობს, ემზადება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ შევიდეს და ისწავლოს ინსტიტუტში საფეიქრო ფაკულტეტზე, თამარი წარმოებისაგან მოუწყვეტლად განაგრძობს სწავლას თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-19 საშუალო სკოლაში, არც მას აუღია ხელი მტკიცე გადაწყვეტილებაზე — მიიღოს არა მარტო საშუალო, არამედ უმაღლესი სპეციალური განათლებაც.

ზევით მრავალშვილიანობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. — დები მარტონი არ არიან ოჯახში, ნათელასა და თამართან ერთად ოჯახის გულს ახარებენ მომდევნო შვილები: ომარი — მეშვიდე კლასის მოსწავლე, ქეთო — მეოთხე კლასის მოსწავლე, ციალა — მეორე კლასის მოსწავლე.

მარიამის მკერდს ამშვენებს დედობის მედალი.

ახლა როგორ მუშაობს გოგილაშვილების ოჯახი წარმოებაში:

გიორგი — კომბინატის სარემონტო-სამშენებლო საამქროს მეფილაქნე, ოსტატი, საწარმოო დავალებას 180 პროცენტით ასრულებს;

მარიამის საწარმოო მაჩვენებლები 120 პროცენტზე დაბლა არასოდეს არ დასულა;

ნათელას საქმიანობას წარმოებაში წუნით არასოდეს ჩრდილი არ მიჰყენებია, იგი საუცხოო სპეციალისტი დადგა;

თამარი საწარმოო დავალებებს მუდამ 120 და მეტი პროცენტითაც ასრულებს.

როგორია მატერიალური შედეგი? — ოჯახს ყოველთვიურად სულ მცირე ხუთი ათასი მანეთი შემოსავალი აქვს პატიოსანი, ნაქები, ბეჯითი შრომით.

მიუხარიათ ყოველდღე გოგილაშვილებს მშობლიურ საწარმოში, რომელშიც ინდუსტრიის მძლავრი მაჯისცემა ისმის და რომლის დიდი კოლექტივის შრომის ფერხულს მათი შრომაც ერთვის.

უმცროსები ჭკვიანად არიან შინ — სწავლობენ და ოჯახსაც უვლიან უფროსების მოსვლამდე.

სიცოცხლე და სიხარულია გოგილაშვილების ოჯახში.

რას გვეუბნება გოგილაშვილების მაგალითი? —



შრომის სიყვარული, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება ადამიანს გზას უკაფავს ბედნიერი, უზრუნველყოფილი ცხოვრებისაკენ.

გოგილაშვილების მაგალითი ერთეული როდია. ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო ამაყობს თავისი პატრიოტებით; პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული და მათი განხორციელებისათვის მებრძოლი საბჭოთა ადამიანები მტკიცედ მიდიან კომუნიზმისაკენ.

შრომაში იჭედება საბჭოთა ოჯახის ბედნიერება. შრომასა და სწავლაში ჰპოვებენ ახალგაზრდები გამარჯვებას და უზრუნველყოფენ თავიანთ ნათელ მომავალს.



**სურათებზე — ზემოდან ქვემოთ:**

I.

საქსოვი საამქროს მოსამზადებელ განყოფილებაში ნათელა შრომობს. ნართის წყვეტიანობის კონტროლიორობა პასუხსაგები საქმეა. იგი (მარჯვნივ) კონტროლს უწევს ნართის წყვეტიანობას საქსელავ მანქანაზე.

II.

ხედავთ, რა გატაცებით შრომობს ურთულეს მანქანასთან ეს გოგონა? — ეს თამარია — ყველაზე უმცროსი გოგილაშვილი კომბინატში.

III.

მარიამს უყვარს თავისი საწარმო, თავისი ძაფსახვევი მანქანა, რომელთანაც ეს თვრამეტი წელია ტრიალებს. იგი ამ მანქანასთან მორიგ სამუშაო დღეს ჩვეული ენერგიით, გამოცდილებით და საქმის ცოდნით იწყებს. არც დღეს იქნება დაბალი მისი საწარმოო მაჩვენებელი.

IV.

გიორგი გოგილაშვილი — თბილისის მაუდკამვოლის კომბინატის სარემონტო-სამშენებლო საამქროს ოსტატი — იწყებს თავის მორიგ სამუშაო დღეს. ამ დაზგებმა და მანქანებმა, რომელსაც იგი სიყვარულით ელოლიავება, დღეს სამშობლოს მორიგი მაღალხარისხოვანი პროდუქცია უნდა მისცენ. გიორგის შრომის აღრიცხვის ფურცელში 180 პროცენტი უნდა ჩაიწეროს — ასეთია ბეჯითი ოსტატის პირობა.

V.

დამთავრდა სამუშაო დღე, გოგილაშვილები კომბინატიდან გამოდიან, კმაყოფილნი, რომ დღიური შრომის ნორმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთი შრომის შედეგებს. მხიარულად მიაბიჯებენ კომბინატის ეზოში. მიუხარიათ შინ, პატიოსანი შრომით გაბედნიერებულ ოჯახში. იქ კი უმცროსები ელოდებიან სიხარულით.

ტექსტი ვლ. თორდუასი და
ზ. ჯამასპიშვილისა.
ფოტო ზ. [illegible]

## დუშეთის რაიონში

### საკოლმეურნეო მშენებლობანი

დუშეთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა ახალი კანტორის აგება. აქ არის ანგარიშწარმოების მუშაკების, სპეციალისტების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სამუშაო ოთახები. ამ შენობაშია აგრეთვე ორასადგილიანი კლუბი, ქვედა სართულში კი მოწყობილია მარანი.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მექანიზებული ფერმების მშენებლობა მთავრდება მლეთის, ბაზალეთის, საშაბუროს და არანისის კოლმეურნეობებში.

### საზაფხულო ესტრადაზე

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა დუშეთის კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო ესტრადაზე მაყურებლებს უჩვენა ვ. როზოვის პიესა „ხალისიანი მეგობრები“.

უკანასკნელ ხანს აქ კონცერტები გამართეს აგრეთვე საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა, კ. მარჯანიშვილის სახელობის და რუსთაველის სახელობის თეატრების, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობთა ბრიგადებმა.

საინტერესო იყო კულტურის სარაიონო სახლის დრამატული წრის სპექტაკლი „მაია წყნეთელი“, რომელშიც ერეკლე მეფის როლი შეასრულა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ვ. გოძიაშვილმა.

### მაღალი წველადობის ოსტატები

რაიონში თანდათანობით მატულობს მოწინავე მწველავთა რიცხვი. არანისის კოლმეურნეობის ფერმის ძროხების მწველავმა ბაბულია სიდამონიძემ სამეურნეო წლის 10 თვეში გადაჭარბებით შეასრულა რძის მიღების წლიური გეგმა, ნაცვლად 800 ლიტრისა თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 1.421 ლიტრი რძე.

ასეთსავე წარმატებას მიაღწიეს ბალიკო ლანიაშვილმა (ახატანი), პელაგია კაიშაურმა (არღუნი), ელ. პირმისაშვილმა (დუშეთი) და სხვ.

### მეგობრობის დროშა — მოწინავე კოლმეურნეობას

ძმური მეგობრობის გრძნობით არიან დაკავშირებული დუშეთის და დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის მეცხოველეები. ერთ წელიწადზე მეტია, რაც ისინი ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული.

შარშან გუნიბის რაიონის მშრომელთა დელეგაციამ მეგობრობის წითელი დროშა ჩამოიტანა დუშეთში. დამკვიდრდა ტრადიცია, რომლის მიხედვით მეგობრობის ეს დროშა ყოველ სამ თვეში გადაეცემა რაიონის ყველაზე მოწინავე კოლმეურნეობას.

ამ საპატიო ჯილდოს დღემდე ინარჩუნებს სოფელ მაქართის კოლმეურნეობა, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის განვითარების მიმდინარე წლის გეგმები.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

*მოწინავეთა გამოცდილება — მასებს!*

# ჩაის უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატი



მ. მახარაძე.

• • •

მიმდინარე სამეურნეო წელს მახარაძის რაიონში ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღების საქმეში სახელი გაითქვა გალმადვაბზუს კოლმეურნეობის წევრმა მარგალიტა მახარაძემ, რომელმაც რაიონში პირველმა შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

მ. მახარაძემ მისთვის მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარი პლანტაციიდან 1 აგვისტოსათვის 3.800 კილოგრამის ნაცვლად მოკრიფა და ჩაის ფაბრიკას ჩააბარა 4.100 კილოგრამი ნედლეული, ხოლო 16 აგვისტოსათვის დამზადებული ჰქონდა 4.800 კილოგრამი ფოთოლი. იგი იბრძვის გეგმის გადამეტებით 8.000 კილოგრამი ჩაის ფოთლისათვის.

მ. მახარაძე დიდი მზრუნველობით უვლის ჩაის ბუჩქებს. მისთვის მოსავლელად მიჩენილი ჩაის პლანტაცია მუდამ ფხვიერ მდგომარეობაშია, ფოთოლი ყოველთვის საკრეფია.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ აღწევს ასეთ წარმატებას, მ. მახარაძემ განაცხადა:

პლანტაცია, რომელსაც ჩვენ ვუვლით, გაშენებულია შპალერული წესით. აქ მთლიანად ლიკვიდირებულია ბუჩქების მეჩხერიანობა. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ჩაის ფოთლის მაღალი მოსავლის მიღება მარტო ერთი რომელიმე ღონისძიების ზუსტად განხორციელების შედეგი კი არ არის, არამედ დამოკიდებულია აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გატარებაზე. ამიტომ ყველა სახის აგროტექნიკურ სამუშაოს თავიდანვე მოკლე ვადებში, მაღალხარისხოვნად ვახორციელებთ.

საზამთრო სამუშაოებს გვიან შემოდგომით ვიწყებთ. პლანტაციის გადაბარვას ვაწარმოებთ ნოემბრის ბოლო რიცხვებში ან დეკემბრის პირველ ნახევარში. გადაბარვას ვახდენთ ბარ-ფიწლის გამოყენებით 10-12 სანტიმეტრის სიღრმეზე, პრაქტიკულად დავრწმუნდით, რომ პლანტაციის აღნიშნულ პერიოდში და ამ სიღრმეზე გადაბარვა გაცილებით უკეთესია, ვინაიდან გადაბარვის დროს დაზიანებული ფესვები ადრე და იოლად ასწრებენ აღდგენას.

გადაბარვის დროს პლანტაციაში შეგვაქვს ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქების საჭირო დოზა, აგრეთვე ნაკელი ჰექტარზე 40 ტონის რაოდენობით სამ წელიწადში ერთხელ.

ჩაის ბუჩქების შპალერულ გასხვლას ვაწარმოებთ 15 მარტიდან 5 აპრილამდე. ფოთლის მომცემი ზედაპირის გადიდების მიზნით ბუჩქებს ვაძლევთ ნახევრადოვალურ ფორმას. გასხვლის დროს ვცდილობთ პლანტაციას მივცეთ ისეთი ფორმა, რომ ბუჩქები რაც შეიძლება შემჭიდროებული იყოს როგორც რიგებში, ისე რიგთაშორისებში. პლანტაციის რიგთაშორისების ნორმალურად შეკვრას დიდი მნიშვნელობა აქვს გვალვიან პერიოდში პლანტაციიდან წყლის აორთქლების შემცირებისა და სარეველა ბალახების მოსპობის თვალსაზრისით.

გასხვლის დროს გულმოდგინედ ვსინჯავთ თვითეულ ბუჩქს; ვაშორებთ დაკოჟრებულ, გამხმარ ტოტებს და ტოტების ნაწილებს, ვაკვირდებით მავნებელთა და მცენარის დაავადებათა გავრცელებას და საჭირო შემთხვევაში დროულად ვიღებთ ზომებს. გაზაფხულზე ვიწყებთ პლანტაციის განოყიერებას აზოტოვანი სასუქებით. აზოტი ჩაის პლანტაციაში წლის განმავლობაში სულ სამჯერ შეგვაქვს: პირველი დოზა — სულფატამონიუმი მარტის ბოლო რიცხვებში ჰექტარზე 1.000 კილოგრამის რაოდენობით, მეორე დოზა — ამონიუმის გვარჯილა ივნისის შუა რიცხვებში ჰექტარზე 400 კილოგრამის რაოდენობით. მესამე დოზას ვაძლევთ აგვისტოს პირველ ნახევარში — ჰექტარზე აგრეთვე 400 კილოგრამს.

აზოტოვანი სასუქების დოზების ამგვარი განაწილება იმის საშუალებას იძლევა, რომ მცენარე მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყოს აზოტის საჭირო რაოდენობით, რაც ძირითადად უზრუნველყოფს ჩაის ბუჩქის ვეგეტაციის დიდ უნარს.

წელს პლანტაციაში ფოთლის კრეფა დავიწყეთ მაისის შუა რიცხვებიდან. ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, რომ კრეფაზე ძირითადად დამოკიდებულია ჩაის ფოთლის მაღალი მოსავლის მიღება. ამიტომ კრეფას ვაწარმოებთ აგროწესების დაცვით, განუწყვეტლივ. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ მთელი ნაკვეთი ყოველდღიურად იკრიფება, მაგრამ პლანტაციის ნაწილ-ნაწილად ყოველდღიური კრეფით ვაღწევ კრეფათა შორის შუალედების საკმაოდ შემჭიდროებას.

მაღალი აგროტექნიკის დაცვით ჩვენ ვაღწევთ იმას, რომ საკრეფი დუყები უხვად გვაქვს თითქმის მთელ სავეგეტაციო პერიოდში. კრეფის ოდნავი დაგვიანებაც კი მოსავლის დაკარგვას ნიშნავს. ამიტომ დროულად ვკრეფთ და თავიდან ვიცილებთ ფოთლის დანაკარგებს.

ზაფხულის პერიოდში პლანტაციაში ნიადაგი მუდამ ფხვიერ მდგომარეობაში გვაქვს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სარეველა ბალახების წინააღმდეგ ბრძოლისა და ნიადაგში ტენის შენარჩუნებისათვის. გარდა ამისა, ივნისში ვატარებთ მცენარეთა დამატებით გამოკვებას წუნწუხით. წუნწუხს შემდეგნაირად ვამზადებთ: ერთ ტონა ნაკელს ვხსნით 10 ათას ლიტრ წყალში, რაც სავსებით საკმარისია 0,5 ჰექტარი პლანტაციისათვის. ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ მცენარეთა ასეთი გამოკვება მორწყვის მაგივრობასაც ასრულებს.

ასეთია მ. მახარაძის მუშაობის ხერხები ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ეს გამოცდილება ყველა მეჩაიის კუთვნილებად უნდა გავხადოთ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

ვ. ჯაყელი.

## ლონდონის კონფერენცია სუეცის არხის საკითხზე

ლონდონი, 17 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით სუეცის არხის საკითხის ლონდონის კონფერენციის მონაწილენი შეიკრიბნენ თავიანთ მესამე სხდომაზე.

პირველმა სიტყვა აიღო საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ქ. პინომ, რომელმაც გააშუქა თავისი მთავრობის პოზიცია განსახილველ საკითხში. მისი გამოსვლის პირველი ნაწილი მიეძღვნა ცდებს დაემტკიცებინა, რომ ეგვიპტის მთავრობამ, მოახდინა რა სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია, თითქოს გადაუხვია საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ამასთან საფრანგეთის წარმომადგენელმა მოიყვანა უსაფუძვლო მოსაზრება, თითქოს სუეცის არხის კომპანია ასრულებდა „საერთაშორისო ფუნქციას“ და ამიტომ არ ექვემდებარება ეგვიპტის სახელმწიფოს იურისდიქციას.

ქ. პინო შემდეგ ამტკიცებდა, რომ ნაციონალიზაციის აქტი, რომელიც ეგვიპტის მთავრობამ განახორციელა, თითქოს საფრთხეს უქმნის არხში ნაოსნობის თავისუფლებას, რომლითაც საფრანგეთი დიდად დაინტერესებულია.

შეეხო რა ეგვიპტის მთავრობის ფართოდ ცნობილ განცხადებას იმის შესახებ, რომ მას განზრახული აქვს მტკიცედ დაიცვას არხში ნაოსნობის თავისუფლება 1888 წლის კონვენციის შესაბამისად, პინო ამტკიცებდა, რომ ეს განცხადება სინამდვილეში ვერ უზრუნველყოფს იმ ქვეყნების გემების თავისუფლად გავლას არხში, რომლებიც ამით სარგებლობენ. მან თქვა, რომ არხში თავისუფალი ნაოსნობის ასეთი გარანტია უდისკრიმინაციოდ და გონივრული ტარიფით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ მაშინ, თუ იარსებებს არხის მართვის საერთაშორისო ორგანო.

პინომ განაცხადა, რომ საფრანგეთის წინადადებანი სუეცის არხის საკითხზე შთაგონებულია იმავე სულისკვეთებით, როგორითაც დალესის მიერ შეტანილი წინადადებანი. არხის ქონება და მისი მოწყობილობა, თქვა მან, უნდა ეკუთვნოდეს ეგვიპტეს, ხოლო სუეცის არხის კომპანიამ უნდა მიიღოს ანაზღაურება. მაგრამ არხის მართვა უნდა განახორციელოს საერთაშორისო ორგანომ, რომელშიც შევლენ არხით დაინტერესებული მთავარი ქვეყნების, მათ შორის ეგვიპტის წარმომადგენლები. პინომ ხაზი გაუსვა, რომ, საფრანგეთის მთავრობის აზრით, ეს საერთაშორისო ორგანო უნდა იქნეს არხის სწორედ მმართველი ორგანო და არა მარტო მისი მუშაობის საკონტროლო ორგანო. პინომ აგრეთვე აღნიშნა, რომ საფრანგეთი თანახმა იქნება კავშირი დამყარდეს ამ საერთაშორისო ორგანოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის.

დასასრულ საფრანგეთის წარმომადგენელმა თქვა, რომ ამ კონფერენციის ამოცანა მხოლოდ ის არის, რომ გამონახოს გადაწყვეტილება განსახილველ საკითხზე და არა საშუალებანი ასეთი გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის.

ნორვეგიის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ლანგემ აგრეთვე უარყო სუეცის არხის ნაციონალიზაციის აქტის მართლზომიერება. გადაწყვეტილება, რომელიც აქ უნდა მოვნახოთ, თქვა მან, უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ პირობებს: ჯერ-ერთი, უზრუნველვყოთ თავისუფალი ნაოსნობა არხში 1888 წლის კონვენციის თანახმად ისე, რომ არ იქნეს გამოყენებული რაიმე დისკრიმინაცია რომელიც უნდა იყოს ქვეყნის წინააღმდეგ და, მეორე, უზრუნველვყოთ არხის ფუნქციონირება. იგი ამტკიცებდა, რომ არხის ტექნიკური ექსპლოატაციის ძალა შესწევს მხოლოდ სუეცის კომპანიის საერთაშორისო პერსონალს, ამიტომ, მისი სიტყვით, ეს პერსონალი ადგილზე უნდა დარჩეს. მან აღნიშნა, რომ არხის მართვა უნდა მოეწყოს საერთაშორისო ორგანოს შექმნის გზით, და განაცხადა, რომ მისი მთავრობა იწონებს პრინციპებს, რომლებიც გუშინ ჩამოაყალიბა დალესმა და რომლებიც შეიმუშავა დასავლეთის სამმა სახელმწიფომ.

დასასრულ, ნორვეგიის წარმომადგენელმა თქვა, რომ საჭიროა გამოიჩინონ მოქნილობა სხვადასხვა წინადადებათა განხილვისას და რომ უნდა გამოინახოს განსახილველი საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი.

დღევანდელ სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ახალი ზელანდიის, იაპონიის, დანიის, თურქეთის, ესპანეთის წარმომადგენელთა გამოსვლები.

## საბჭოთა დელეგაციის პრეს-კონფერენცია

ლონდონი, 16 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სუეცის არხის საკითხზე ლონდონის კონფერენციის პირველი სხდომის შემდეგ გაიმართა საბჭოთა დელეგაციის პრეს-კონფერენცია. პრეს-კონფერენციას ხელმძღვანელობდა ლ. თ. ილიჩოვი, რომელმაც სხდომის მიმდინარეობა გააცნო ინგლისელ და უცხოელ კორესპონდენტებს და უპასუხა მიცემულ კითხვებზე.

## ჰარი პოლიტის განცხადება

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ჰარი პოლიტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გმობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილებას გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ასეთი გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება ინგლისელ ხალხს, ვინაიდან ჰიტლერმაც, როცა ხელისუფლება დაიპყრო, დაიწყო კომუნისტებზე თავდასხმებით, ხოლო შემდეგ მთელ გერმანიაში მოსპო ყველა სამოქალაქო თავისუფლება, რაც მსოფლიო ომის გაჩაღების წანამძღვარი გახდა.

დასავლეთ გერმანიაში „სასამართლოს გადაწყვეტილება შთაგონებული იყო ამ ქვეყნის ყველაზე რეაქციული ელემენტების მიერ, — განაგრძობს პოლიტი. — ეს ელემენტები გამოდიან გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების წინააღმდეგ... ყველა ინგლისელი დემოკრატი, განსაკუთრებით მუშათა, პროფკავშირული და კოოპერაციული მოძრაობის მოღვაწენი, უნდა გამოვიდნენ და განაცხადონ მტკიცე პროტესტი, მოითხოვონ საყოველთაო მშვიდობისა და დემოკრატიის საქმის ინტერესებისათვის, რომ დასავლეთ გერმანიაში კომუნისტური პარტია არ აიკრძალოს“.

## მოსკოვში ჩამოვიდა ნორვეგიის საპარლამენტო დელეგაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით 17 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვიდა ნორვეგიის სტორტინგის (პარლამენტის) დელეგაცია სტორტინგის თავმჯდომარის ოსკარ ტორპის მეთაურობით. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა აგრეთვე ნორვეგიელ ჟურნალისტთა ჯგუფი.

მოსკოვის ლენინგრადის ვაგზალი მორთულია ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. სტუმრების შესახვედრად აქ მოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. პ. ლობანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ტ. კომაროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. მ. არუშანიანი, სსრ კავშირის მინისტრები ვ. გ. ბაკაევი, ნ. დ. პსურცევი, ს. ა. სტეპანოვი, ს. მ. ტიხომიროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

სტუმრებს მიესალმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. პ. ლობანოვი.

საპასუხო სიტყვაში ნორვეგიის სტორტინგის თავმჯდომარემ ო. ტორპმა განაცხადა:

ნორვეგიის სტორტინგის დელეგაციის სახელით მადლობას მოგახსენებთ გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც აქ წარმოთქვით, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავაზიანი მოწვევისათვის, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ჩამოვსულიყავით თქვენს ქვეყანაში და გაგვეცნო მისი ხალხი და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები.

ბევრი რამ აკავშირებს საბჭოთა და ნორვეგიელ ხალხებს. ნორვეგიელი ხალხი მუდამ მეგობრული გრძნობებით იყო გამსჭვალული თავისი დიდი აღმოსავლეთელი მეზობლისადმი. ჩვენს შორის ომი და მტრობა არასოდეს არა ყოფილა.

ჩვენ საერთო წვლილი შევიტანეთ ჩვენი ქვეყნების თავისუფლების დაცვის საქმეში უკანასკნელი ომის დროს. ნორვეგიელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმას, რაც საბჭოთა კავშირის ხალხებმა გააკეთეს ამ საერთო საქმისათვის და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მონაწილეობას ნორვეგიის განთავისუფლებაში.

ჩვენ პატივისცემით და მადლობით ვიგონებთ საბჭოთა ქალებსა და მამაკაცებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ქვეყნების თავისუფლებისათვის ბრძოლას. ჩვენი საერთო განმათავისუფლებელი ბრძოლა დღეს ჩვენი ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების საფუძველია. ჩვენ გვსურს, რომ საბჭოთა კავშირში ჩვენმა ჩამოსვლამ ხელი შეუწყოს ჩვენს ხალხებს შორის ახალი მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

გულითადი მადლობა უმაღლესი საბჭოს მოწვევისათვის. (საკდესი).

## VI მსოფლიო ფესტივალის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომა

16 აგვისტოს მოსკოვში დამთავრდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის დამფუძნებელი სხდომა.

კომისიებმა შეიმუშავეს ფესტივალის საერთო პროგრამა, სპეციალური პროგრამა სტუდენტებისათვის, კულტურის, სპორტის დარგში შეჯიბრების პროგრამა და სხვ.

კონკურსის კომისიის სახელით გამოდის პროფესორი გ. ორვიდი. იგი აცხადებს ჟიურის სიას, რომელშიც შეყვანილია უცხოეთისა და საბჭოთა კულტურის 70-ზე მეტი თვალსაჩინო მოღვაწე. მათ შორის არიან ბულგარელი კომპოზიტორი გიორგი დიმიტროვი, საბერძნეთის ბალეტის ანსამბლის დირექტორი დორა სტრატუ, ვიოლინისტი დავიდ ოისტრახი და სხვები.

აბუ აგლა იუსიფმა (სუდანი) გააკეთა მოხსენება პრესისა და ინფორმაციის კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ. რეკომენდებულია გამოსცენ მრავალი ბროშურა, პლაკატი, გამოუშვან ამა წლის სექტემბრიდან გაზეთი „ფესტივალი“.

ორგანიზაციულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ჩილის უნივერსიტეტის დირექტორმა მარიო ბაეზამ ილაპარაკა ორგანიზაციული ხასიათის საკითხებზე, ფესტივალის სოლიდარობის საერთაშორისო ფონდის შექმნაზე.

ფესტივალის საერთო პროგრამის კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ბომბეის დრამატული თეატრის რეჟისორმა დინა განდიმ. სპორტის კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ეკვადორის წარმომადგენელმა ოსვალდო ნუნეს მორანმა.

სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს კომისიების რეკომენდაციები, აგრეთვე დაამტკიცეს VI ფესტივალის პლაკატი და ნიშანი.

შემდეგ სხდომამ ერთსულოვნად მიიღო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის დამფუძნებელი სხდომის მიმართვა და კომუნიკე.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ დისკუსიამ, რომელშიც 37 ორატორი მონაწილეობდა, შესაძლებელი გახადა სხდომას განეხილა ფესტივალის მომზადების პროგრამა. განხილვას ახასიათებდა თავისუფლების, გულწრფელობისა და ურთიერთ პატივისცემის სულისკვეთება, ყველა დამსწრეს სურდა გამოენახა საერთო თვალსაზრისი და ხელი შეეწყო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის წარმატებისათვის. მოსამზადებელმა კომიტეტმა დაადგინა მოეწყოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალი მშვიდობისა და მეგობრობისათვის მოსკოვში 1957 წლის 28 ივლისიდან 11 აგვისტომდე. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ქვეყნის სულ ცოტა 30 ათასი კაცი.

დასასრულ თავმჯდომარემ ჟაკ დენიმ მადლობა გადაუხადა ყველა შეკრებილთ ახალგაზრდობის მსოფლიო შეხვედრისადმი მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვაში აქტიური მონაწილეობისათვის.

საღამოს საბჭოთა მოსამზადებელი კომიტეტის ხელმძღვანელებმა დარბაზობა გამართეს უცხოელი სტუმრების პატივსაცემად. (საკდესი).

## მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოს განცხადება სუეცის არხის საკითხზე

ვენა, 16 აგვისტო. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„ამ მომენტში, როცა კეთილ გავლენას ახდენს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და როცა შეიძლება სრული უფლებით მოველოდეთ, რომ ერთა შორის სადავო საკითხების მოწესრიგებისას გაიმარჯვებს კეთილგონიერება და ძალადობის გამოყენებაზე უარის თქმა, ზოგიერთი გამოსვლა ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციის გამო მსოფლიო საზოგადოებრიობის შეშფოთებას იწვევს.

გარემოებებმა, რომლებშიც კრიზისი გაჩაღდა, სხვადასხვა მთავრობის სამხედრო ღონისძიებებმა და პასუხისმგებელ პოლიტიკურ მოღვაწეთა მუქარის სიტყვებმა აღელვა ყველა ადამიანი, რომელსაც მშვიდობა სურს.

მიუხედავად სხვადასხვა აზრისა, რომელიც ცალკეულ ადამიანებს შეუძლიათ ამ საკითხში ჰქონდეთ, არავის არა სურს ამ ვითარებაში ისეთი მეთოდების კვლავ გამოყენება ერთა შორის ურთიერთობაში, რომლებზეც საჭიროა საბოლოოდ ვთქვათ უარი.

ლონდონის კონფერენციის წინ მსოფლიო მოძრაობა მშვიდობისათვის ერთხელ კიდევ გმობს ძალადობის საშუალებებს სადავო საერთაშორისო საკითხების გადაჭრისათვის.

არ აპირებს რა შეაფასოს ლონდონის კონფერენციის ხასიათი და წინასწარ გადაჭრას ამ კონფერენციის შესაძლებელი შედეგები, რომელსაც, როგორც იმედი აქვთ, შეუძლია ხელი შეუწყოს საკითხის სამართლიან გადაჭრას, მსოფლიო მოძრაობა მშვიდობისათვის რწმენას გამოთქვამს, რომ საბოლოო გადაჭრა შეიძლება გამოინახოს მხოლოდ დაინტერესებული ქვეყნების მოლაპარაკების გზით. ამ გადაწყვეტილებამ უნდა გაითვალისწინოს ეგვიპტის სრული დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი და იმ ქვეყნების კანონიერი ინტერესები, რომლებიც არხით სარგებლობენ.

მსოფლიო მოძრაობა მშვიდობისათვის მიმართავს სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრიობას მოწოდებით მხარი დაუჭიროს ამ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, და მოუწოდებს მთავრობებს მუდამ იხელმძღვანელონ ამ პრინციპებით.“

## დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებმა აკრძალეს გერმანიის კომუნისტური პარტია

ბონი, 17 აგვისტო. (საკდესი). მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად კარლსრუეს ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს პირველმა სენატმა დღეს გერმანიის კომუნისტური პარტია გამოაცხადა „ანტიკონსტიტუციურად“ და გამოიტანა გადაწყვეტილება გერმანიის კომუნისტური პარტიის დაშლის შესახებ. დასავლეთ გერმანიის დპა-ს სააგენტოს ცნობაში აღნიშნულია, რომ გერმანიის კომუნისტურ პარტიას აეკრძალა მოაწყოს „შემცვლელი ორგანიზაციები ან შეინარჩუნოს არსებული ორგანიზაციები“. განაჩენი ითვალისწინებს აგრეთვე გერმანიის კომუნისტური პარტიის ქონების კონფისკაციას.

## დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა მიერ გერმანიის კომპარტიის აკრძალვის გამო

ბერლინი, 17 აგვისტო. (საკდესი). როგორც ბონიდან იუწყებიან, გამოიტანა თუ არა ფედერალურმა კონსტიტუციურმა სასამართლომ გადაწყვეტილება გერმანიის კომუნისტური პარტიის დაშლის შესახებ, დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებმა განკარგულება მისცეს მხარეთა მთავრობებს დაიწყონ ადგილებზე კომუნისტური ორგანიზაციებისა და გაზეთების დევნა.

კორესპონდენტების ცნობებით, კარლსრუეში, სადაც სასამართლო სხდომები მიმდინარეობდა, და მთელ რიგ სხვა ქალაქებში პოლიცია მზად ჰყავდათ მოსალოდნელი დემონსტრაციების შემთხვევისათვის.

ამასთანავე, რათა შეენელებინათ თვითნებობის ამ აქტის უაღრესად ცუდი შთაბეჭდილება მშრომელ მოსახლეობაზე, ხელისუფლებმა განახორციელეს პროპაგანდისტული ხასიათის მთელი რიგი ღონისძიებანი. გაიმართა, კერძოდ, პრეს-კონფერენცია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრთან შრედერთან და გამოქვეყნდა მთავრობის სპეციალური განცხადება გერმანიის კომპარტიის აკრძალვასთან დაკავშირებით. მთავრობა თავის განცხადებაში ცდილობს დაამტკიცოს, რომ გერმანიის კომპარტიის აკრძალვა არ გააუარესებს გერმანიის გაერთიანების შესაძლებლობას. გერმანიის კომპარტიის წინააღმდეგ გალაშქრებას მთავრობა ცინიკურად განმარტავს როგორც დემოკრატიის დაცვას.

გერმანიის კომპარტიის აკრძალვის წინააღმდეგ გამოვიდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მელიში. იგი არ მალავს თავის სიმპათიას გერმანიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ და ამ პარტიის აკრძალვა დაგმო მხოლოდ როგორც ტაქტიკური ხასიათის შეცდომა, რადგან, მისი სიტყვით, ეს აკრძალვა „მოწამეობრიობის შარავანდედით“ მოსავს გერმანიის კომპარტიას. უფრო კატეგორიულად ილაპარაკა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დასავლეთ ბერლინის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ფ. ნოიმანმა, რომელმაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებას კომპარტიის აკრძალვის შესახებ „ერთ-ერთი ყველაზე უგუნური გადაწყვეტილება“ უწოდა.

ბონში კვლავ მოდის როგორც დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პირების, ისე უცხოეთის პროგრესული ორგანიზაციების პროტესტები.

## გრძელდება ინგლისის ჯარების გადაყვანა ხმელთაშუა ზღვის რაიონში

ლონდონი, 16 აგვისტო. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, გრძელდება „საჰაერო ხიდით“ ინგლისის ჯარების გადაყვანა ხმელთაშუა ზღვის რაიონში. სამი თვითმფრინავი „ბრიტანია“ გაფრინდა ბორნმუტის (სამხრეთი ინგლისი) ახლოს მდებარე ჰერნის აეროდრომიდან. თვითეულ თვითმფრინავზე 100 სამხედრო მოსამსახურეა. კიდევ რამდენიმე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი გაფრინდა ლონდონის ახლოს მდებარე ბლეკბუშის აეროდრომიდან.

## კურორტი შოვი



მამისონის უღელტეხილიდან ოციოდე კილომეტრის მანძილზე, მდინარე ჭანჭახის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1.600 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი შოვი. მის ირგვლივ აღმართულან მაღალი მთები, რომელთა კალთები და ფერდობები წიწვიანი ტყით არის დაფარული. უფრო შორს მოჩანს მარად თოვლიანი მთა ბუბა და სხვა მწვერვალები.

შოვის თვალწარმტაცი ბუნება და შესანიშნავი სამკურნალო მინერალური წყლები ყოველწლიურად მრავალ დამსვენებელს იზიდავს არა მარტო ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან, არამედ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდანაც. აქ შეხვდებით დონბასელ მეშახტეს, ურალელ მეფოლადეს, ლენინგრადელ მანქანათმშენებელს და სხვა მრავალი პროფესიის ადამიანებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან.

კურორტ შოვის ჰავა და მინერალური წყლები საუკეთესო საშუალებაა სისხლნაკლებობის, ქრონიკული მალარიის, ბრონქიალური ჯირკვლების დაავადებათა, ნევრასტენიის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის სამკურნალოდ.

შოვში გახსნილია ორი სანატორიუმი, ერთი დასასვენებელი სახლი და ერთი პანსიონატი, რომლებშიც ერთდროულად 300 კაცი ისვენებს. აქ მუშაობს პოლიკლინიკა. კურორტს ემსახურება მედიცინის 58 მუშაკი.

კურორტის შიდა გზების დიდი ნაწილი მოასფალტებულია. კურორტს ემსახურება რადიოკვანძი 200 წერტილით. დამსვენებელთა კულტურული მომსახურების მიზნით კურორტის კლუბში ხშირად უჩვენებენ კინოფილმებს, იმართება კონცერტები ადგილობრივი ძალებით, გახსნილია ბიბლიოთეკა.

მიმდინარე სეზონისათვის კურორტზე გაიხსნა დედათა და ბავშვთა 50-საწოლიანი პანსიონატი, მოეწყო სასპორტო მოედნები, შეძენილი იქნა მაგარი და რბილი ინვენტარი. ამჟამად მიმდინარეობს ძველი სოლარიუმის რეკონსტრუქცია.

არის მთელი რიგი ნაკლოვანებებიც. კურორტი საკმაოდ ვერ მარაგდება ბოსტნეულითა და ხილით. ამბროლაურის და ონის რაიონებში დამზადებული პროდუქტები ბარდება ქუთაისს, რომელიც აწოდებს წყალტუბოს, წყალტუბო კი უბრუნებს შოვს. ამრიგად, პროდუქტები მოძრაობს თითქმის 350 კილომეტრზე, რაც იწვევს მათ დაზიანებას და ხარისხის დაცემას. მიზანშეწონილი იქნებოდა ონისა და ამბროლაურის რაიონებში დამზადებული პროდუქტები უშუალოდ ბარდებოდეს კურორტ შოვს.

კურორტის ტერიტორიის ნაწილი დაფარულია ბუჩქნარით, რომელიც უნდა გაიკაფოს, ნაწილი კი დაჭაობებულია, რაც შეიძლება ამოშრობილ იქნას არხების საშუალებით. კურორტის წყალსადენი და კანალიზაცია კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს.

შოვში ონის რაიკავშირს გახსნილი აქვს სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიები, რომლებიც არ მარაგდება ფართო ასორტიმენტის საქონლით.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სავაჭრო ორგანიზაციებმა, კურორტის ხელმძღვანელობამ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარმა სამმართველომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ კურორტ შოვის კეთილმოწყობას და დამსვენებელთა მომსახურების გაუმჯობესებას, მიაღწიონ იმას, რომ დამსვენებლებმა უფრო შინაარსიანად გაატარონ შვებულება და განახლებული ენერგიით დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაოს.

გ. ტატიშვილი,
ა. ბუძიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

* * *

სურათზე: კურორტ შოვის № 1 სანატორიუმი.

## ლენინგრადის კომედიის ანსამბლის გასტროლები

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში 20 აგვისტოდან საგასტროლო წარმოდგენებს იწყებს ლენინგრადის კომედიის ანსამბლი ი. რახლინის ხელმძღვანელობით.

ჩვენი ქალაქის მაყურებლები ნახავენ ორ საესტრადო სპექტაკლს: ლენინგრადელი ავტორის ვლადიმერ პოლიაკოვის „ახ, გულო!“ და „ასე შემდეგ“.

საესტრადო მიმოხილვა „ახ, გულო!“ ეხება სიყვარულისა და მეგობრობის თემას. ეს პიესა მიმართულია უსულგულობისა და გულგრილობის წინააღმდეგ. ნაწარმოების ბევრი სურათი დაწერილია სხვადასხვა ჟანრში: აქ არის ერთმოქმედებიანი კომედიები, ფელეტონი, საჟანრო სცენები, ვოდევილი.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რ. სუსლოვიჩს, რეჟისორია ი. გორინი, მხატვრები — ა. კონსტანტინოვსკი და მ. მალობროდსკი. მუსიკა დაწერილია კომპოზიტორების ი. პროკოფიევისა და ნ. სიმონიანის მიერ.

მეორე სპექტაკლი „ასე შემდეგ“. ეს არის ანსამბლის პრემიერა, საესტრადო სანახაობა ორ განყოფილებად. მასში არის პაროდიები, კუპლეტები, მინიატურები. მონაწილეობს კომიკური გუნდი.

სპექტაკლი დადგმულია ი. ოლშ ვანგერის მიერ. მხატვრობა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მ. ვინოგრადოვს, მუსიკა — კომპოზიტორ მ. ტაბაჩნიკოვს, ცეკვები დადგა ნ. პლეცერმა.

ანსამბლის სპექტაკლები ნაჩვენები იქნება ორკესტრის თანხლებით, რომელსაც ხელმძღვანელობს ლიუბოვ ლობკოვსკაია.

## სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხი

— ოფიციალური ცხრილი —

მოგებათა მე-16 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1956 წლის 12 აგვისტოს ქალაქ კიშინიოვში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიიბისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|
| 040040 | 37*) | 1.000 | 049645 | 29*) | 1.000 |
| 040176 | 1—50 | 500 | 049695 | 26*) | 1.000 |
| 040394 | 1—50 | 500 | 049701 | 44*) | 1.000 |
| 040408 | 25*) | 1.000 | 049702 | 26*) | 1.000 |
| 040439 | 08*) | 1.000 | 049882 | 1—50 | 200 |
| 040489 | 1—50 | 500 | 049908 | 25*) | 50.000 |
| 040577 | 29*) | 1.000 | 050119 | 1—50 | 500 |
| 040676 | 1—50 | 200 | 050148 | 1—50 | 200 |
| 040707 | 45*) | 1.000 | 050193 | 1—50 | 200 |
| 040784 | 22*) | 1.000 | 050309 | 46*) | 1.000 |
| 040909 | 16*) | 1.000 | 050518 | 1—50 | 200 |
| 040942 | 41*) | 1.000 | 050533 | 46*) | 1.000 |
| 041050 | 19*) | 10.000 | 050837 | 1—50 | 500 |
| 041110 | 29*) | 1.000 | 050871 | 1—50 | 200 |
| 041123 | 43*) | 1.000 | 051096 | 13*) | 1.000 |
| 041192 | 35*) | 1.000 | 051112 | 30*) | 1.000 |
| 041195 | 02*) | 5.000 | 051152 | 48*) | 1.000 |
| 041546 | 1—50 | 500 | 051278 | 31*) | 1.000 |
| 041650 | 41*) | 10.000 | 051607 | 1—50 | 500 |
| 041687 | 15*) | 1.000 | 051764 | 21*) | 1.000 |
| 041750 | 1—50 | 200 | 051929 | 1—50 | 500 |
| 041856 | 43*) | 5.000 | 052000 | 1—50 | 200 |
| 042047 | 25*) | 1.000 | 052060 | 41*) | 1.000 |
| 042089 | 18*) | 1.000 | 052080 | 1—50 | 200 |
| 042220 | 26*) | 1.000 | 052426 | 30*) | 1.000 |
| 042262 | 1—50 | 200 | 052430 | 44*) | 1.000 |
| 042553 | 28*) | 1.000 | 052547 | 1—50 | 500 |
| 042703 | 27*) | 1.000 | 052568 | 24*) | 1.000 |
| 042852 | 12*) | 1.000 | 052793 | 1—50 | 200 |
| 043002 | 48*) | 1.000 | 052831 | 09*) | 1.000 |
| 043308 | 07*) | 1.000 | 052985 | 1—50 | 500 |
| 043485 | 23*) | 1.000 | 053119 | 26*) | 1.000 |
| 043778 | 1—50 | 200 | 053269 | 08*) | 1.000 |
| 043926 | 41*) | 1.000 | 053601 | 15*) | 5.000 |
| 043968 | 1—50 | 500 | 053938 | 20*) | 1.000 |
| 044117 | 07*) | 1.000 | 054054 | 1—50 | 200 |
| 044411 | 03*) | 1.000 | 054117 | 14*) | 1.000 |
| 044464 | 25*) | 1.000 | 054220 | 04*) | 1.000 |
| 044743 | 41*) | 1.000 | 054310 | 1—50 | 500 |
| 044803 | 08*) | 10.000 | 054453 | 13*) | 25.000 |
| 044872 | 22*) | 1.000 | 054466 | 47*) | 1.000 |
| 044873 | 07*) | 1.000 | 054728 | 1—50 | 200 |
| 044923 | 30*) | 1.000 | 054840 | 10*) | 5.000 |
| 045075 | 39*) | 1.000 | 054852 | 31*) | 1.000 |
| 045407 | 1—50 | 200 | 054862 | 1—50 | 200 |
| 045527 | 1—50 | 500 | 054876 | 01*) | 1.000 |
| 045593 | 1—50 | 200 | 054940 | 30*) | 1.000 |
| 045649 | 1—50 | 500 | 055009 | 14*) | 1.000 |
| 045721 | 50*) | 1.000 | 055129 | 1—50 | 200 |
| 045884 | 11*) | 25.000 | 055641 | 06*) | 1.000 |
| 045969 | 27*) | 5.000 | 055751 | 26—50 | 200 |
| 045971 | 48*) | 1.000 | 056003 | 47*) | 1.000 |
| 046000 | 48*) | 5.000 | 056106 | 27*) | 1.000 |
| 046149 | 1—50 | 200 | 056389 | 34*) | 1.000 |
| 046179 | 01*) | 1.000 | 056418 | 1—50 | 200 |
| 046359 | 29*) | 1.000 | 056432 | 48*) | 1.000 |
| 046473 | 36*) | 1.000 | 056578 | 1—50 | 500 |
| 046588 | 1—50 | 200 | 056604 | 1—50 | 200 |
| 046739 | 42*) | 1.000 | 056757 | 10*) | 1.000 |
| 046797 | 1—50 | 200 | 057219 | 38*) | 1.000 |
| 046894 | 1—50 | 200 | 057304 | 1—50 | 500 |
| 046966 | 31*) | 1.000 | 057456 | 1—50 | 500 |
| 047072 | 06*) | 1.000 | 057516 | 10*) | 5.000 |
| 047148 | 1—50 | 500 | 057675 | 24*) | 5.000 |
| 047202 | 41*) | 1.000 | 057700 | 05*) | 1.000 |
| 047452 | 15*) | 1.000 | 057872 | 34*) | 1.000 |
| 047456 | 36*) | 10.000 | 057879 | 1—50 | 500 |
| 047661 | 28*) | 1.000 | 058005 | 38*) | 1.000 |
| 047868 | 26*) | 1.000 | 058160 | 03*) | 1.000 |
| 047934 | 1—50 | 200 | 058270 | 33*) | 10.000 |
| 048152 | 1—50 | 200 | 058300 | 18*) | 1.000 |
| 048316 | 47*) | 1.000 | 058505 | 30*) | 1.000 |
| 048345 | 26*) | 1.000 | 058566 | 14*) | 1.000 |
| 048347 | 05*) | 1.000 | 058768 | 05*) | 1.000 |
| 048537 | 45*) | 1.000 | 059014 | 13*) | 1.000 |
| 048725 | 06*) | 5.000 | 059067 | 31*) | 1.000 |
| 048778 | 04*) | 1.000 | 059089 | 09*) | 1.000 |
| 048831 | 48*) | 1.000 | 059218 | 31*) | 1.000 |
| 049188 | 1—50 | 200 | 059329 | 40*) | 1.000 |
| 049270 | 34*) | 1.000 | 059441 | 22*) | 1.000 |
| 049297 | 07*) | 1.000 | 059770 | 07*) | 5.000 |
| 049601 | 1—50 | 200 | 059790 | 48*) | 1.000 |
| 049610 | 1—50 | 200 | 059926 | 1—50 | 500 |
| 049624 | 22*) | 1.000 | 059949 | 13*) | 1.000 |

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ფ. დიორდიცა.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ე. პ. ლევენდინი.

## ლექცია

19 აგვისტოს დღის 4 საათზე სარეწაო კოოპერაციის კულტურის ცენტრალურ სახლში (1 მაისის ქუჩა № 10) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს კ. სულეიმანის საჯარო ლექციას თემაზე „საერთაშორისო მდგომარეობა“.

ლექციის შემდეგ დოკუმენტალური კინოფილმი „მოგზაურობა არგენტინაში“.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.


**კლიენტურის საყურადღებოდ**

**საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მომარაგების და გასაღების სამმართველო** აცხადებს საწარმო-დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ ა. წ. 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს საწყობებში მოეწყობა ინვენტარიზაცია.

საწარმო-დაწესებულებებს ვთხოვთ ინვენტარიზაციის დაწყებამდე უზრუნველყონ გამოწერილი საქონლის მიღება და სხვა საჭირო მასალების შეძენა.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მომარაგებისა და გასაღების სამმართველო.

**20 აგვისტოდან დაიწყება ხელისმოწერის მიღება სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებზე**, რომლებიც გამოდის უცხო ენებზე.

ხელმოწერა აღნიშნულ გამოცემებზე მიიღება 1 ოქტომბრამდე შემდეგ ადგილებში: თბილისში, ბათუმში, სოხუმში, გაგრაში, ტყვარჩელში, სტალინირში, ქუთაისში, ფოთში, რუსთავში, გორში, მახარაძეში, ზესტაფონში, ტყიბულში, ახალციხეში, თელავში, წყალტუბოში, წითელწყაროში, წალენჯიხაში.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გამოცემებზე, რომლებიც გამოდის რუსულ ენაზე, ხელმოწერა მიიღება ცენტრალურ გამოცემებზე ხელმოწერასთან ერთად.

„სოიუზპეჩატი“.


**დღეს თბილისის კინოთეატრებში**

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), ოქტომბერი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, იხანი (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის (საზამთრო), პლეხანოვისა და ძერჟინსკის სახელობის კლუბები — საბჭოების ხელისუფლებისათვის, ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, თბილისი, იხანი (საზამთრო), 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), ვოროშილოვის სახელობის კლუბი — არის ასეთი ჭაბუკი, კომკავშირელი, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი, კომუნარების ბაღი— შეუპოვარი გოგონა, კოლხიდა (საზამთრო), დიდუბე (საზაფხულო), გორკის სახელობის კულტურის სახლი—მდევარი,

შვილი მატუ, რძალი ქენია შვილებით იუწყებიან

**ლირსა იესეს ასულ შუბლაძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 21-VIII, 6 ს. 30 წ. რობესპიერის ქ. № 22.

დედა ანა, მეუღლე აბელინა, შვილი გიორგი, დები პაშა, ჭუკური, ჯიანეტა, ძმები ნოდარ, თამაზ, სიძე ტიტე იუწყებიან

**ქიჭიკო გიორგის-ძე ქურციკიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-VIII ქ. ჭიათურაში.

საქსარეწტექმომარაგების მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

**სოფიო ანტონის ასულ გვეტაძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 19-VIII, 4 ს. კამოს ქ. № 53.

მეუღლე სოკრატ, დედა ათინო, შვილები გიორგი, ზურაბ, და ლილი ხუნდაძე, ძმები ნიკოლოზ, ლეონიდე ოჯახებით იუწყებიან

**თამარ ნიკიფორეს ასულ მეგრელიძე-ალექსანდრიდის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-VIII, 6 ს. სოფელ ხიდისთავში (ჩოხატაურის რ.).

მეუღლე იუსტინე, შვილები ელენე, დავით, ნათელა, რძალი გალინა, სიძეები გ. შალამბერიძე, გ. ჰედია და შვილიშვილები იუწყებიან

**ხილოვან დავითის-ძე ანდღულაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20-VIII, 8 ს. დაკრძალვა 21-VIII, 5½ ს. გოგოლის ქ. № 52.

მეუღლე თამარ, შვილი ზურაბ, ძმა ამბროსი, დები ჭ. და თ. ხავთასები, სიძეები თ. კვირკველია, ვ. რამიშვილი, პ. თავამაიშვილი ოჯახებით იუწყებიან

**შალვა მერაბის-ძე ხავთასის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20-VIII, 8 ს. გამოსვენება 21-VIII, 3 ს. ცხაკაიას ქ. № 9.

მეუღლე მარგო, შვილები გრიგოლ, დარეჯან, ირაკლი, მამა ვასილ, და დინარა, ძმა მირიან ოჯახებით იუწყებიან

**ქართლოს ვასილის-ძე ედილაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-VIII, 5 ს. სოფელ ბრეთში (ქარელის რ.).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურპროდუქტების მთავარი სამმართველოს მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან

**თამარ დომენტის ასულ ალახანია-თავართქილაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-VIII, 3 ს. ფალიაშვილის ქ. № 110.

**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების—3-64-42 გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 03095

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.